ყველაზე ბევრია, „ვერსიაა" ერთი

ვერსია

№119 (875) 13 - 14 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მეფე არა, პინგვინის ყაურმა

გვ. 3

რას მოუტანს საქართველოს მონარქიის აღდგენა

„ამაზე მეტ ინფორმაციას ვერ გამომძალავთ"

მართავენ თუ არა ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციებს ახლები და რა ინფორმაციას ანვდის „ვერსიას" **მამუკა კაციტაძე**

გვ. 9

„კბილაშვილმა განაცხადა, კორუმპირებული კადრები დავაბრუნე, რომლებმაც ახალი კოდექსი და კომპიუტერის გამოყენებაც კი არ იციანო"

როგორ აქცია პროკურატურა პოლიტიკური დევნის იარაღად ჯერ კიდევ მოქმედმა პროკურორმა

შს საგზაო წესების დარღვევისთვის დაწესებულ ჯარიმებს ანახევრებს

გვ. 5

დაუჭერს თუ არა მხარს პარლამენტი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას?

მხოლოდ 40 თვითრი

რა შედეგს მივიღებთ საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენლობის აღდგენით?

„მისია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში თუ არ შეუშვეს, მის აქ ყოფნას რა ფასი აქვს?"

გვ. 8

თიბისი ბანკის ინტერნეტბანკი მსოფლიოში საუკეთესოდ სერვისად აღიარეს!

თიბისი ბანკი
TBC BANK

Global Finance-ის დაჯილდოებაზე ბანკმა 2 ნომინაციაში გაიმარჯვა

გვ. 7

რა უნდა იცოდნენ გლეხებმა და ფერმერებმა კოოპერატივებში გასაწევრიანებლად

გლეხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებს

გვ. 6

„m² იპოდრომთან" საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო გამწვანება ზამთრისთვის მოამზადეს

რატომ განახორციელებს კომპანია ახალ პროექტებს „მწვანე სტატუსის" პრინციპით

გვ. 7

„ვარლვევ 15-წლიან დუმილს – მალხაზ სონღულაშვილი ერეტიკოსად გამოაცხადეს და აღარ არის ჩვენი ეკლესიის მთავარეპისკოპოსი"

„ვერსიის" სტატიამ ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიაში სკანდალი გამოიწვია

გვ. 8

არჩევნების საბოლოო შედეგებით, გიორგი მარგველაშვილმა ხმების 62,12% მოიპოვა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები წარმოადგინა და სხდომაზე შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ცესკო-ს ცნობით, საბოლოო შედეგების მიხედვით, გიორგი მარგველაშვილმა ამომრჩეველთა ხმების 62,12% მიიღო, დავით ბაქრაძემ — 21,72%, ნინო ბურჯანაძემ კი — 10,19%.

საპრეზიდენტო არჩევნებში 1 660 976-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა.

საარჩევნო პროცესს 60 ადგილობრივი, 65 საერთაშორისო, პოლიტიკური პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების 46 309 წარმომადგენელი და 152 მედიაორგანიზაცია აკვირდებოდა.

ცესკო-ს ინფორმაციით, ხმის მიცემის პროცედურა მშვიდ გარემოში წარიმართა, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე. არც ერთი შემაჯამებელი ოქმი არ გასაჩივრებულა, რამაც საშუალება მისცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, შედეგები საბოლოო ვადამდე — 16 ნოემბრამდე წარედგინა.

ცესკო-ს ცნობით, 2013 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახდა.

„პირველი“

ახალი მთავრობის ფორმირებაზე მუშაობას პარლამენტი 18 ნოემბრიდან დაიწყებს

ახალი მთავრობის ფორმირებაზე მუშაობას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის ინაუგურაციის მეორე დღესვე დაიწყებენ. წინასწარი ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ირაკლი ღარიბაშვილსა და მის მთავრობას პარლამენტი მომავალ კვირაშივე გამოუცხადებს ნდობას.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მთავრობის დაკომპლექტების პროცესში კონსტიტუციით განსაზღვრული ვადების ბოლომდე გამოყენება არ იგეგმება და პროცესი სწრაფად განხორციელდება: **„არ გვაქვს ფუფუნება, კონსტიტუციაში გაწერილ ვადებს ბოლომდე გავყვეთ. მთავრობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეუდგეს მუშაობას. ამასთან, ახლოვდება ვილნიუსის სამიტი, სადაც დამტკიცებული მინისტრები უნდა გაემგზავრონ“.**

იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო კვირა არასასესიოა, პარლამენტს რიგგარეშე სხდომის მოწვევა მოუწევს. რიგგარეშე სხდომებს პრეზიდენტი იწვევს და სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარე შესაბამისი თხოვნით უკვე ახალ პრეზიდენტს მიმართავს.

მთავრობა უფლებამოსილებას პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან მოიხსნის და მოვალეობას ახალი მთავრობის ფორმირებამდე შეასრულებს. ინაუგურაციის დღესვე, ახალი კონსტიტუციური ნორმები ამოქმედდება, რომელთა თანახმად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ირაკლი ღარიბაშვილს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი წარადგენს. მთავრობის ფორმირების ახალი კონსტიტუციური პროცედურების გათვალისწინებით, პრეზიდენტმა მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან შვიდი დღის ვადაში, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა წამოაყენოს; თავის მხრივ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ასევე შვიდი დღის ვადაში აირჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და ნდობის მისაღებად, სამთავრობო პროგრამასთან ერთად, პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტსაც შვიდდღიანი ვადა აქვს მთავრობის ფორმირებისთვის.

პარლამენტის ნდობის მისაღებად მთავრობას პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა დასჭირდება.

„ინტერპრესნიუსი“

გამგებლებს 4 წლის ვადით აირჩევენ

არჩევითი საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს არჩევითი გამგებელი ეყოლება. ამას საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები ითვალისწინებს. გამგებელი (მერი) არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი მოხელე, მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო ხმის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით, კერძოდ, ამ კანონის მიზნებისთვის, გამგებლის (მერის) არჩევა, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით ხდება ყველა თვითმმართველ თემსა და თვითმმართველ ქალაქში და არა მხოლოდ თბილისში.

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქმედითი მონაწილეობის მიზნით, იქმნება თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოები — უბნის საბჭოები. აღნიშნული ინსტიტუტი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეს არ წარმოადგენს. ცვლილების ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

„პირველი“

რკინიგზელები გაიფიცებიან

საქართველოს რკინიგზის თანამშრომლები 14 ნოემბერს დაგეგმილი გაფიცვისთვის ემზადებიან. აქციის ორგანიზატორების ინფორმაციით, 14 ნოემბერს შეწყდება როგორც ტვირთების გადაზიდვა, ისე მგზავრების გადაყვანა.

პროფკავშირის ინფორმაციით, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა ორი კვირაა მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებას თავს არიდებს და აცხადებს, რომ კომპანია რკინიგზელების აღნიშნული სამი ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინებას არ აპირებს. რკინიგზელები ადმინისტრაციას ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, გამჭვირვალე საპრემიო სისტემის დაწესებას და დანამატების სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით გაცემას სთხოვენ.

„ინტერპრესნიუსი“

მზადება ინაუგურაციისთვის

საქართველოს შეიარაღებული ძალები პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალისთვის აქტიურად ემზადებიან. საზეიმო ცერემონიალზე სამხედრო ძალების, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტი მიიღებს მონაწილეობას. ინაუგურაციაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ოფიცრებით დაკომპლექტებული ოცეული, ავიაციისა და საზღვაო ძალების სანაპირო დაცვის, ასევე სპეციალური დანიშნულების ძალების, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის, ეროვნული გვარდიის, საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის სერჟანტთა და III ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული ავღანეთის კოლოფები იქნება წარმოდგენილი. თითოეულ ქვედანაყოფს მედროშე და მეთაური წარადგენს.

ინაუგურაციის რეპეტიციას სამუშაო ჯგუფის წევრები დაესწრნენ და ადგილზე გაეცნენ სამხედრო ძალების მზადების პროცესს. რეპეტიციის დასრულების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრა გამართეს და საბოლოო დეტალებზე შეთანხმდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მედიის თავისუფლების რეიტინგში საქართველო მეორე ადგილზეა

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო მედიის თავისუფლების რეიტინგში მე-2 ადგილზეა, — ინფორმაციას „ინტერნიუს-უკრაინას“ კოორდინატორი ნატალია სადი ავრცელებს. მისი თქმით: **„განახლებული მონაცემებით, პირველი ადგილი რეიტინგში მოლდოვამ დაიკავა, მეორე საქართველომ, მესამე სომხეთმა, მეოთხე უკრაინამ, მეხუთე და მეექვსე ადგილებზე კი აზერბაიჯანი და ბელორუსი გავიდა“.**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მედიის თავისუფლების რეიტინგი ექსპერტების გამოკითხვის გზით დგება, რომლებიც შესაბამის ქვეყნებს განსაზღვრულ ქულებს ანიჭებენ.

„ექსპრესნიუსი“

ბათუმში ცვილის ფიგურების მუზეუმი გაძარცვეს

რამდენიმე პირმა, ბათუმის ცვილის ფიგურების მუზეუმი გაძარცვა და დაარბია. მუზეუმში მედეასა და სხვა ქანდაკებები დამტვრეულია, ტექნიკის ნაწილი კი — გატანილი. მუზეუმის გარე ფასადიდან მოპარულია სანიაღვრე არხების მილები. ადგილობრივები ამბობენ, რომ მუზეუმის არსებობის 7 წლის განმავლობაში ასეთი რამ არ მომხდარა. ადგილზე სამართალდამცავები გამოცხადდნენ და ძიება დაიწყეს. ცვილის ფიგურების მუზეუმი 2012 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გახსნა.

„ინტერპრესნიუსი“

სოფელ მარანთან სარკინიგზო ავარია მოხდა

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია და სახანძრო რაზმები, ავარიის შედეგად გაჩენილი ხანძრის ლოკალიზება მალევე მოხერხდა. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანთან რკინიგზაზე მომხდარი ავარიის გამო მიმოსვლა რამდენიმე საათით შეწყდა. სატვირთო შემადგენლობა, რომელსაც ნავთობი გადაჰქონდა, რკინიგზის რელსებიდან გადავიდა, შედეგად ნავთობი დაიღვარა და ხანძარი გაჩნდა. ლიანდაგიდან სულ ორი ვაგონი გადავიდა. შსს-ს სამაშველო სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, ზარალი მინიმალურია, რადგან მცირე რაოდენობის ნავთობი დაიღვარა. ამ დრომდე დაუდგენელია, რომელ კომპანიას ან კერძო პირს ეკუთვნოდა ნავთობი და საიდან სად გადაჰქონდათ იგი.

„ნეუპოსტსი“

მეფე არა, პინგვინის ყაურმა

რეზო შატაკიშვილი

ღმერთო, შეაყვარე ქართველს წინსვლა და მოაშლევინე უკუსვლა — კვლავ გააქტიურდა მონარქიის აღდგენის საკითხი. მეფობის აღდგენას რეფლეში უფლისწულის ნათლობამ მისცა. ერთ-ერთმა ნათლიამ, ლევან ვასაძემ, პირდაპირ ბრძანა, რომ ამ ფაქტით (ნათლობით) საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას. მას რომ ჰკითხო, საქართველო 4-ჯერ გაერთიანებულა — ფარნავაზის მიერ; ვახტანგ გორგასლის მიერ; დავით აღმაშენებლის მიერ და... რუსების მიერ!!! მუზებისა და ფულების მსახურს (პოეტსა და ბიზნესმენს) ისტორიის დეტალურად ცოდნას არავინ სთხოვს, მაგრამ, როდესაც საქართველოს გაერთიანებაზე, ქვეყნის წინაშე ბაგრატიონების ღვაწლზე გვესაუბრება, თუ არ წაუკითხავს, ვინმემ მაინც უნდა უთხრას და გამაერთიანებლებიდან არათუ არ უნდა გამოტოვოს, საგანგებოდ უნდა გამოყოს — ბაგრატ მესამე, არც გიორგი ბრწყინვალის ღვაწლის დავიწყება ვარგა მაინცდამაინც. მე, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებს – არც გვარიშვილობა მიწყობს ხელს, არც შეძლება და, ალალად რომ ვთქვათ, არც სათანადო კვალიფიკაცია (ისტორიკოსობას ვგულისხმობ). რა თქმა უნდა, დაეზარება ისტორიის წიგნების ფურცვლაც, ამიტომ უპრიანი იქნება, დაურეკოს მარიკა ლორთქიფანიძეს და ჰკითხოს – რამდენჯერ გაერთიანდა საქართველო და ვის მიერ. ქალბატონ მარიკასთან დარეკვის შემდეგ აღარასოდეს გაიმეორებს, რომ რუსეთმა საქართველო გააერთიანა. გაიგებს, რომ რუსეთმა საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად მიიერთა. თუ ბატონ ვასაძეს ქალბატონ მარიკას შეწუხება არ სურს, პუტინი შეაწუხოს – გუბერნიების ამბავი მასაც კარგად ახსოვს, ამასწინათ ახსენა კიდეც – „იყო ტიფლისის გუბერნია და არა საქართველო“.

ინგა გრიგოლიასთან კი იგივე ვასაძემ ბრძანა, რომ ჩვენს ხალხს, განსხვავებით ფრანგებისგან, რუსებისგან... არასოდეს უთქვამს უარი მონარქიაზე, რომ ძალით ამოგლიჯეს მას ეს უფლება. ვასაძეს ეტყობა „დაავიწყდა“, რომ ქართველებს ეს უფლება სწორედ ბოლო „გამაერთიანებლებმა“ – რუსებმა წაართვეს. პარადოქსი კი ისაა, რუსებისგან წართმეულის უკან ჩანერგვას სწორედ რუსეთის მეხოტბე ბიზნესმენი, პოლიტიკოსი და პოეტი რომ ლამობს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა პარადოქსი. ვანო მერაბიშვილი ჯერ კიდევ სამი წლის წინ ამბობდა, რომ საქართველოში მონარქიის აღდგენის იდეა მოსკოვიდან მოდის: **„მოსკოვში საქართველოზე პასუხისმგებელ პირად პრიმაკოვი დანიშნეს. ამის შემდეგ უცებ გაჩნდა ქართველი მეფის პროექტი ბაგრატიონთა გვარიდან. ბაგრატიონთა შთამომავალი სასწრაფოდ დააქორწინეს ამავე გვარის სხვა შტოს მემკვიდრეზე, თანაც საამისოდ ქალი ქმარსაც კი დააშორეს. და რა? – პროექტი ქორწინებასთან ერთად დაიმსხვრა“,** – მერაბიშვილი, ალბათ, იმ დაშორებას გულისხმობდა, რაც ასპარეზზე შორენა ბეგაშვილის გამოჩენას მოჰყვა, თავის დროზე, სამეფო ოჯახში, მაგრამ ბაგრატიონები კვლავ შეარიგეს და უფლისწულიც იშვა. მისი ნათლობის შემდეგ ლევან ვასაძე ღიად ალაპარაკდა მონარქიის აღდგენაზე – ვასაძის ფაქტორი, სწორედაც რომ, ამყარებს ვანო მერაბიშვილის სამი წლისწინანდელ ვერსიას... მაგრამ ჩნდება კითხვა — თავის დროზე, რუსეთს მეფის პროექტი სააკაშვილის ალტერნატივად ენდომებოდა და რატომ გააქტიურდა ამ ეტაპზე? პუტინი პოლიტიკურ ჭადრაკს ეთამაშება ივანიშვილს და „მეფით“ ქიშს უცხადებს? და რა დროს ხდება ეს? როცა სულ რამდენიმე დღის არჩეულია ახალი პრეზიდენტი და როცა სულ რამდენიმე დღეში ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად უნდა იქცეს, ვასაძე კონსტიტუციურ მონარქიაზე გველაპარაკება. რა იყო, პრეზიდენტად ვერ მოგვევლინა – ჩვენი ჯიბიდან თავი ვერ შეგვანახვინა და ახლა უნდა, თავის ნათლული შეგვანახვინოს? რა სურს, 2 წლის გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონი ტახტზე აიყვანონ და მას რეგენტად დაუდგეს? ანუ ჩვენ რომ გვეგონა, ჭყონდიდელობისკენ ისწრაფვოდა, სადუნ მანკაბერდელობა სწადია? (სადაც ბაგრატ მესამე გამორჩა ისტორიის შესწავლისას, იქ დემეტრე თავდადებულიც გამორჩებოდა – ამიტომ შევახსენებ – სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა კარზე დაწინაურებული პირი იყო, რომელიც მცირეწლოვან დემეტრე თავდადებულს მეურვედ დაუნიშნეს, — რ. შ). ვასაძეს სურს რეგენტობა თუ თვითონ ბაგრატიონებს? გგონიათ, ამ თემაზე კონსენსუსი იქნება? კარგად გაიხსენეთ, რა ხდებოდა, ვიდრე ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის დავით ბაგრატიონ-მუხრანელზე დააქორწინებდნენ. რამდენი კანდიდატურა განიხილებოდა და რა ინტრიგები მძვინვარებდა. ხორხე ბაგრატიონის (დავითის მამა) და — მარიამ ბაგრატიონი საერთოდ აცხადებდა, რომ ირაკლი ბაგრატიონს ხორხე მოკვეთილი და გაძევებული ჰყავდა სამეფო ოჯახიდან... მოკლედ, ასე თუ ისე, ეს ეტაპი გადააგორეს და ბაგრატიონების კახეთის შტოს წარმომადგენელი ანა, ბაგრატიონების ქართლის შტოს წარმომადგენელზე დააქორწინეს, მაგრამ რა გინდა? შედით ბატონო, http://sameposaxli.jimdo.com-ზე და ნახავთ, რომ სამეფოს სახლის მეთაურად ნუგზარ ბაგრატიონია მოხსენიებული და სწორედ ნუგზარ ბაგრატიონივე იხსენიება ტახტის მემკვიდრედ. შემდეგ გადადით http://www.royalhouseofgeorgia.ge-ზე, სადაც ნახავთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფროსად დავით ბაგრატიონია გამოცხადებული. სიძე-სიმამრი იმაზე ვერ შეთანხმებულან, რომელია სამეფო სახლის უფროსი, ორივეს თავ-თავისი კანცელარია ჰყავს და ტახტს (თუნდაც რეგენტობას) გაიყოფენ? ან კი სხვას, ბაგრატიონს პრეტენზია არ ექნება? არ ჰქონდათ აქამდე თუ? არადა, მონარქიის იდეას ხომ სწორედ ასე გვაწონებენ – რომ საქართველოში, სადაც ყველას პირველკაცობა სწყურია, მეფობა ამ „წყურვილს“ აზრს დაუკარგავსო. აკი ვკითხულობთ კიდეც ერთ-ერთ სამეფო საიტზე http://www.georoyal.ge: **„ძალიან მნიშვნელოვანია პირველობის, „პირველი კაცობის“ საკითხი. საქართველოში ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას. ძალიან ბევრისთვის „პირველკაცობა“ არის ცხოვრების მიზანი. ქვეყანაში მეფის არსებობის დროს სხვა ვერ იქნება პირველი. რაც უნდა ბევრი ფული ჰქონდეს და რაც უნდა ძლიერ პოლიტიკოსად გრძნობდეს თავს ნებისმიერი, მას უსათუოდ ეცოდინება, რომ მასზე მაღლა ამქვეყნიურ იერარქიაში, საერო იერარქიაში, არის მეფე, რომელიც მას განიხილავს, როგორც შვილს. მეფისთვის პირველკაცობის, პირველობის პრობლემა არ დგას. მისთვის განგებაა, მსახურებაა, ვალდებულებაა, ზრუნავდეს ქვეშევრდომებზე. ეს ადგილი მას კარიერისადმი სწრაფვით არ მოუპოვებია, არც ქვემძვრომობა, არც პოზიორობა, არც თამაში, არც ქრთამის აღება და გაცემა მას არ დასჭირვებია. ეს ნებელური არ არის, ეს ფატალურია. იგი, უბრალოდ, მეფობისთვის დაიბადა და მეფურად გაზარდეს“.**

ამ სიტყვებს ისე გვაპარებენ, გეგონება, გონებაჩლუნგები ვიყოთ და არ ვიცოდეთ, რა ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში სწორედ ამ პირველკაცობისთვის თავად სამეფო ოჯახებს შიგნით – რა ხოცვა-ჟლეტა, რა ინტრიგები, ერთმანეთის მოწამვლა... სხვათა შორის, ამ მხრივ არც ჩვენი ბაგრატიონები ჩამორჩებოდნენ უცხოელ „კოლეგებს“. გეგონება, ბაგრატიონს ბაგრატიონი არ ჩამოუგდია ტახტიდან, ინტრიგები არ უხლართავს და ტახტი არ წაურთმევია არავისთვის – ხო აბა, სულ „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი“ უთმობდნენ ერთმანეთს ტახტსა და ძალაუფლებას. ასე არ „დაუთმო“ ტახტი დემნა ბატონიშვილმა ბიძამისს? თქვენ გგონიათ, თამარის მამამ მართლა დაასაჭურისა და თვალები დასთხარა ძმისწულს?

„საქართველოს ბედ-უბედობა თითქმის ყოველთვის იმაზედ იყო დამოკიდებული, თუ მეფეს რამდენი შვილი ჰყვანდა: მრავალშვილიანი მეფე თავისს სიცოცხლეშივე ქვეყანას უნაწილებდა ხოლმე შვილებს, ხოლო ერთადერთის მემკვიდრის მყოლი მთელს ქვეყანას უანდერძებდა მხოლოდ ამ მემკვიდრეს. სწორედ უბედურება იყო, როდესაც მეფეს ჰყვანდა ორი, სამი თუ ბევრი შვილი: მეფე-მამის სიკვდილის დროს და ხშირად მის სიცოცხლეშივე ძმათა შორის იბადებოდა შური, მტრობა, სიძულვილი, განხეთქილება, ქვეყნის გაყოფა-განაწილება... საქართველოს გრძელს ისტორიაში ერთი მეფეც არა სჩანს ისეთი, რომ გაემეტოს თავისი შვილი, როდესაც ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ერთიანობისა და სიმტკიცის ინტერესი. ისეთი მეფეც კი, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი, „ანდერძში“ ავალებდა თავისს მემკვიდრეს დიმიტრის: თუ გამოდგესო, ჩემმა ვაჟმა ცვატამაც იმეფოს...“— წერდა დიდი ქართველი ისტორიკოსი **მოსე ჯანაშვილი.**

მოკლედ, მეფობის აღდგენა რომ პირველკაცობის პრობლემას არ მოხსნის, მე მგონი, ბავშვიც კი ხვდება. რა მნიშვნელობა აქვს ბაგრატიონები, ძმები და ბიძაშვილები დაჭამენ ერთმანეთს, თუ პრეზიდენტობას მოწყურებული პირები? მე თუ მკითხავთ, კიდე ამ უკანასკნელის ყურება სჯობს, მთლად კაენის ცოდვის ყურებასა და ატანას, მაგრამ ვასაძე არ გვეშვება – მეფობა მაგარიაო და ცხვირში გვტენის ესპანეთის მაგალითს, მაგრამ მაგ ესპანეთში, ბოლო 2 საუკუნეში რომ მეფე 7-ჯერ დაამხეს, არაფერი? მე შენ გეტყვი და, ჩვენ არა გვაქვს დამხობის ნიჭი და პრაქტიკა ჯერ კიდევ პრეზიდენტებზე გავლილი. ისე, არც მეფეთა დროს ვიყავით ამ მხრივ უნიჭო, ჩამოვთვალო, რამდენი მეფე რამდენჯერ გვყავს დამხობილი? ახლა მეფეები ვამხოთ და გულს გადავაყოლოთ? ან იმ ესპანეთს რომ გვახარბებენ, იქნებ ჩვენც მიგვიწვდება ხელი ესპანურ პრესაზე და ვიცით, როგორი კმაყოფილებიც არიან მაგ სამეფო ოჯახის წევრების? ცალკე თემაა, რატომ უნდა ვინახოთ ახლა კიდევ მეფე, სამეფო კარი და მათი ლაქიები? ვასაძეს რომ ჰკითხო, მონარქია საქართველოს უამრავ ფულს მოუტანს. ერთი მაგის ჩოხის კალთების შრიალმა მოუტანა ქვეყანას ფული და ახლა მაგის ნათლულის გვირგვინის ბრჭყვიალი მოუტანს. ტვინი ამოგვჭამეს – იაფი ჯდებაო. ვინ ჰყავთ ბუღალტრად და ვინ დაუანგარიშა, რომ იაფი დაჯდება – გაურკვეველია. იაფიც რომ ჯდებოდეს – იქნებ გვიპასუხოს ვინმემ – რატომ? რატომ უნდა ვინახოთ მეფე? რა ხეირია? მარტო იმიტომ, რომ „ჩოხიანი სოლომონ ბრძენი“ – ვასაძე გაიძახის, ბრენდში ბრენდიაო? შევარდნაძესაც სჯობს, სააკაშვილსაც და ქართულ ღვინოსაცო?! თან ამ ჩვენს ვასაძეს ცოტა უცნაურად რომ ეჩვენება ჩვენგან – საზოგადოების მხრიდან საუბარი მეფის შენახვაზე? **„სააკაშვილმა სხვადასხვა მონაცემებით, ამ ქვეყნიდან შვიდი თუ რვა მილიარდი გაიტანა. სად წაიღო, მაგას გამოძიება დაადგენს. კოლოსალური კორუფციის მსხვერპლნი ვიყავით, როგორც საბჭოთა კავშირის შემდგომ პირველ წლებში, ისე შევარდნაძის დროს და ახლაც. ასეთი საზოგადოებიდან ლაპარაკი იმაზე, „რა დაგვიჯდება სამეფო ოჯახის რჩენა“... ცოტა უცნაურად მეჩვენება“,** – ბრძანა უფლისწულის ნათლიამ. ანუ მას რომ ჰკითხო, საბჭოთა დროს კორუფცია არ მძვინვარებდა – ხო აბა, ზნეობრივმა სისპეტაკემ წალეკა საბჭოეთი, არც სექსი იყო, არც კორუფცია, აფსუს კია... სააკაშვილს 8 კი არა 10 მილიარდიც რომ გაეტანა და გაენიავებინა, ჩვენ, საზოგადოებას, უფლება ვინ წაგვართვა, ვილაპარაკოთ თუნდაც ახალი მეფის შენახვის მოსალოდნელ ხარჯებზე? ე.ი. რახან მიშამ გვყვლიფა, აწი უნდა ენა მუცელში ჩავიგდოთ და ყველას ვაყვლეფინოთ თავი? ეს იქნება საცნაური? კიდევ რა არგუმენტები აქვს ვასაძეს? თურმე ის, რომ მონარქიულ ქვეყნებში ოჯახის ინსტიტუტი უკეთესადაა დაცული და ციხეშიც მოსახლეობის უფრო ნაკლები პროცენტი ხვდება. ანუ მეფე რომ გყავს, ცოლს აღარ სცემ, აღარ გაეყრები, აღარ უღალატებ, აღარ გიღალატებს, რატომ? მეფე გეყოლება მისაბაძი და იმიტომ? თუ ამას გულისხმობს, ცოტა უხერხულად არ ეჩვენება? სწორედ ეს სამეფო ოჯახი სკანდალების ეპიცენტრი იყო იმთავითვე და რა ვიცი... ან საერთოდ, რა აზრი აქვს ვასაძის არგუმენტებს, მით უმეტეს ამ თემაზე – კაცს ბაგრატ მესამე არ ახსოვს... მეც ვნახე ჭკუამოსაკითხი კაცი, მთელი ქართული მედიისა არ იყოს. ყველამ გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ვინმე საერთოდ მოუსმენდა მას და მის „არღუმენტებს“ – დიდძალი ფულის პატრონი რომ არ ყოფილიყო?

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

პრეზიდენტის მაწყევარ არქიმანდრიტ ბართლომეს ეპიტემია დაედო

როგორც საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, მღვდლობის ხარისხის მქონეს, არა აქვს უფლება, აღნიშნული ქმედება თვითნებურად განახორციელოს, რაც სერიოზული დარღვევაა და ამის გამო დაედო ეპიტემია: **„როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ინტერნეტით გავრცელდა არქიმანდრიტ ბართლომეს (ფირცხალაიშვილი) მიერ დადებული წყევლა და მსგავსი ქმედება უკვე მეორედ განმეორდა. მართალია, ორივე შემთხვევაში მას ეკლესიისა და ქვეყნის დაცვის სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ როგორც მღვდლობის ხარისხის მქონეს, არა აქვს უფლება, ეს განახორციელოს თვითნებურად, რაც სერიოზული დარღვევაა და ამის გამო დაედო ეპიტემია. ეკლესია ყოველთვის ლოცულობს საქართველოსთვის და ავედრებს ჩვენს ქვეყანას უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ანგელოზთა და წმიდათა დასს, რაც ბუნებრივია, გულისხმობს, ჩვენ მფარველად და წინამბრძოლად ყოვლადწმინდა სამების და ზეციურ ძალთა მოხმობას. უფალი ყველას მიაგებს საქმეთა მათთაებრ და დაუსჯელი არავინ დარჩება — არც ცილისმწამებელნი და არც ღვთისა და ქვეყნის მოღალატენი. ასე რომ, ღმერთის მსჯავრი ისედაც აღსრულდება თითოეულ ჩვენგანზე, ოღონდ როდესაც ესა თუ ის პიროვნება ზოგჯერ წყევლით ცდილობს, დააჩქაროს უფლის სასჯელი, ამით იგი საფრთხეში იგდებს თავის თავსაც, რადგან თუ ის მართალი არ არის ღვთის წინაშე, თავად აღმოჩნდება უფლის სასჯელის ქვეშ“.**

„პირველი“

„კბილაშვილმა განაცხადა, კორუმპირებული კადრები დავაბრუნე, რომლებმაც ახალი კოდექსი და კომპიუტერის გამოყენებაც კი არ იციანო“

რატომ აკომპლექტებდა უწყებას არაკვალიფიციური კადრებით და აქცია თუ არა პროკურატურა პოლიტიკური დევნის იარაღად ჯერ კიდევ მოქმედმა პროკურორმა

ერუსუდან შელია
557-100-768

რატომ აკომპლექტებდა არჩილ კბილაშვილი პროკურატურას არაკვალიფიციური კადრებით და რა მემკვიდრეობა ხვდება მომავალ გენერალურ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს — არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ოთარ კახიძე ბოლო ერთი წლის განმავლობაში პროკურატურაში განხორციელებულ რეფორმებს აფასებს.

— ამ პერიოდში პროკურატურაში ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ პოზიტიური ცვლილება განხორციელდა — უწყება მედიისთვის გაიხსნა და ჟურნალისტებს მთავარი პროკურორისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცათ. წინა ხელისუფლების პირობებში ამის ფუფუნება არ არსებობდა, რამაც პროკურატურა ერთგვარ დახურულ უწყებად აქცია. სხვა მხრივ, არჩილ კბილაშვილის მოღვაწეობას დადებითად ვერ შევაფასებ, რადგან მან ახალი კადრის ყოველგვარი კონკურსის გარეშე შეარჩია.

— თუმცა მმართველი გუნდის განცხადებით, პროკურატურაში დღემდე წინა ხელისუფლების კადრები მუშაობენ, რომლებიც უწყების გამართულ მუშაობას აფერხებენ.

— აბსურდული არგუმენტია... ძველ თანამშრომლებს, რომლებიც თანამდებობებზე მხოლოდ კონკურსის პირობების წარმატებით გავლის შემდეგ დაინიშნენ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად არაერთი ტრენინგი ჰქონდათ გავლილი.

არჩილ კბილაშვილმა კი, გენერალურ პროკურორად დანიშვნის დღიდან, საპასუხისმგებლო პოსტებზე გამოცდებში ჩაჭრილი ან წარსულში კორუფციული გარიგებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებული პირები დანიშნა. უწყებისადმი მსგავსი მიდგომა, არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა სისტემას სრულად ანგრევს. სხვათა შორის, არასამთავრობოებთან შეხვედრაზე კბილაშვილმა განაცხადა, სისტემაში კორუმპირებული კადრები დავაბრუნე, რომლებმაც ახალი კოდექსი და კომპიუტერის გამოყენებაც კი არ იციანო.

მხოლოდ მის სიტყვებს ვციტირებ... ამ შეხვედრას, ჩემს გარდა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

— არჩილ კბილაშვილისგან მსგავსი კადრების დანიშვნის მიზეზიც მოისმინეთ?

— შეხვედრაზე გენერალურმა პროკურორმა განგვიმარტა, ამ ადამიანებმა განსაწმენდელი გაიარესო. სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ გავიგე, რა განსაწმენდელს გულისხმობდა კბილაშვილი. მან ისიც გვითხრა, ჩვენი გამოწვევაა მსგავსი კადრების სამსახურში მიღებაო. ასე რომ, თუ ახალი მთავარი პროკურორი უწყებაში სერიოზულ რეფორმას არ გაატარებს და გამოცდებისა და ტრენინგების გზით, არაპროფესიონალ კადრებს არ გაცხრილავს, მერწმუნეთ, ძალიან მცირე დროში, პროკურატურა ჩალპება.

— როცა პროკურატურის ერთწლიან მუშაობას ნეგატიურად აფასებთ, რატომ არ ახსენებთ წინა ხელისუფლების მუშაობის პრინციპებს, როცა საზოგადოების ნაწილისთვის ეს უწყება ერთგვარი სადამსჯელო მანქანა იყო?

— ყველა სახელმწიფოში პროკურატურა გამოძიებაზე ზედამხედველობას ახორციელებს. დიახ, წინა ხელისუფლების პირობებში პროკურატურა მკაცრ პოლიტიკას ატარებდა, თუმცა ეს მაშინ აუცილებელი პირობა იყო როგორც ნარკომანიასთან, ასევე ქურდულ სამყაროსა და სხვა ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში.

— სწორედ ამას გეკითხებით, კრიმინალებისთვის განაჩენის გამოტანა პროკურატურის კომპეტენციაა?

— რეფორმის პირობებში, არაერთი შეცდომაც დაფიქსირდა, მაგრამ მთლიანობაში, მაშინ შეიქმნა საზოგადოებისთვის მშვიდი საცხოვრებელი პირობები და ამაში ოთარ ფარცხალაძემაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მოგეხსენებათ, იგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში წლების განმავლობაში მუშაობდა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დღეს უკვე აქცენტი კეთდება არა იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს ყველა ცუდი და სისხლისმსმელი იყო, არამედ პროფესიონალები რომ ინიშნებიან.

— კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, არჩილ კბილაშვილი ზედმეტად ლოიალური პროკურორი იყო, უწყებას კი მკაცრი ხელმძღვანელი სჭირდება. ცვლილებების ფონზე, ყოფილ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ საქმეების აღძვრის სერიას თუ ელით?

— რას ნიშნავს, „უფრო მკაცრი მთავარი პროკურორი“ ან რატომ იყო კბილაშვილი ჰუმანური? ხეთაგური, მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა, კეზერაშვილი — ეს იმ ადამიანების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წინააღმდეგ, არჩილ კბილაშვილის ბრძანებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. უფრო მკაცრმა პროკურორმა რაღა უნდა ქნას, ბრალდებულებს ფიზიკურად გაუსწორდეს? ყველა ცდება, ვინც არჩილ კბილაშვილს ჰუმანურს მხოლოდ იმიტომ უწოდებს, რომ მან 7 მუხლით წამებაში ბრალდებული ლადო ბედუკაძე სისხლის სამართლის პასუხისგებიდან სრულად გაათავისუფლა. ეს ფაქტი მის ბიოგრაფიაში შავ ლაქად მთელი ცხოვრება დარჩება. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას ფარცხალაძე.

წინასწარ რამის თქმა ჩემთვის რთულია, რადგან პროკურატურა საკმაოდ დიდი და სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. თუ ახალი მთავარი პროკურორი ზედმეტად ხისტი არ იქნება და ფრთხილი მენეჯერი გახდება, პროკურატურის გაჯანსაღება შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა ჩამოიშლება. პროფესიონალ კადრებს მუშაობის მოტივაცია არ უნდა დაეკარგოთ — ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ თანაბარ პირობებში მოქმედებს. ვიცი მაგალითები, როცა ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობის პირი ფოიეში მბეჭდავ ქალს ეძებდა, რადგან კომპიუტერში ტექსტის აკრეფა არ შეეძლო.

— მთელი საუბრის განმავლობაში არჩილ კბილაშვილის არასწორ საკადრო ცვლილებებზე მიანიშნებთ. მხოლოდ ეს გახდა პროკურატურის სუსტ რგოლად ქცევის ძირითადი მიზეზი?

— არჩილ კბილაშვილის პროკურატურა პოლიტიკური დევნის იარაღიც გახდა. გახსოვთ, ალბათ, პრემიერ-მინისტრმა ღიად განაცხადა, პროკურატურასთან არსებული რიგები ნაციონალური მოძრაობის რიტორიკის შეცვლაზეა დამოკიდებულიო. ამ განცხადებამ უწყებას საკმაოდ მძიმე დაღი დაასვა, თანაც ყველა დარწმუნდა, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებში რეალური მტკიცებულებები არ არსებობს. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, პროკურატურაა მოუმზადებელი თუ, ზოგადად, ამ ადამიანების წინააღმდეგ მტკიცებულებები მართლაც არაა... ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ არჩილ კბილაშვილი მოწოდების სიმაღლეზე არ იდგა.

— თუმცა არჩილ კბილაშვილის მმართველობის პერიოდში პროკურატურა იუსტიციის სამინისტროსგან დამოუკიდებელი სტრუქტურა გახდა. სისტემის გაჯანსაღებისთვის არც ეს გადაწყვეტილება მიგაჩნიათ დადებითად?

— პროკურატურა ბოლომდე დამოუკიდებელ სტრუქტურად არ ჩამოყალიბებულა. მთავარ პროკურორს პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ნიშნავს, ამასთან პროკურატურის მუშაობის მიმართულებას მინისტრი განსაზღვრავს. თანაც მიმაჩნია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. კერძოდ, პროკურორი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უნდა იყოს, არადა დღეს მხოლოდ იუსტიციის მინისტრია ანგარიშვალდებული, მთავარი პროკურორი კი მის დაქვემდებარებაში არსებულ პირად მიიჩნევა. დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი პრობლემად იქცევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მმართველი კოალიცია მონოლითური ძალა აღარ იქნება. ახალ მთავარ პროკურორს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ წლების განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მუშაობდა. მას კოლეგები ახასიათებენ, როგორც კომპეტენტურ და პრინციპულ ადამიანს. ფინანსთა სამინისტროში ძირითადი რგოლი პროფესიონალებისგან შედგებოდა. სწორედ ამ უწყებამ მოახერხა გადასახადების აკრეფის დამკვიდრება ისეთ სახელმწიფოში, სადაც არავინ იხდიდა და შავი ბუღალტერია ბატონობდა, ამიტომ ოთარ ფარცხალაძისგან მხოლოდ დადებითის მოლოდინი მაქვს.

მეფე არა, პინგვინის ყაურმა

მე-3 გვერდიდან

ვასაძე იქით იყოს და, რას მოგვცემს მონარქიის აღდგენა, არ გამოიწვევს ეს თავადების, აზნაურების გააქტიურებას? ხომ კარგად ვიცით, რომ დღემდე ყველა ხაზს უსვამს თავის თავადურ ნარმოშობას, ზოგი სერიოზულად, ზოგი ოდნავ ირონიულად, მაგრამ მაინც? შედით უფლისწულ გიორგის მეგობართა გვერდზე „ფეისბუკში“ და ნახავთ, როგორ ულოცავენ წერეთლები თუ სხვები ნათლობას „გვაროვნულად“ და როგორ გვმოძღვრავენ, რომ ცუდი მეფე უნდა გვერჩიოს კარგ პრეზიდენტს. „ინჩე ასუმ“ – დე გოლს, რეიგანს ზაქიჭამია მეფე სჯობს? სამეფო საიტზე კი ირწმუნებიან, არ იარსებებს არისტოკრატია, მეფე-დედოფლისა და მემკვიდრის გარდა, ყველა ჩვეულებრივი მოქალაქე იქნებაო, არ იარსებებს სამეფო კარი, არც თავადის, არც ბატონიშვილების წოდებებიო, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — ტახტი არ აღმდგარა და ნახეთ, თავიანთ სამეფო საიტებზე რა ტიტულები აქვთ დარიგებული და რომ აღდგება, რას იზამენ?! ასე, იურიდიულად რომც არ აღადგინონ წოდებები, ეს არ გამოიწვევს სოციალურ ძვრებს? შევინარჩუნებთ ზომიერებას და დავრჩებით კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებში (ახლა ამის მტკიცებაც არ დამიწყოს ვინმემ, რომ კონსტიტუციური მონარქიის მარავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს. კონსტიტუციური მონარქია არც არასოდეს გვქონია და იმ ჩვეულებრივი მონარქიიდანაც ზუსტად 212 წელი გვაშორებს), თუ ეგრევე ვისკუპებთ ფეოდალურ მონარქიაში? „ზადნით“ ისეთი „რაზგონით“ მივექანებით, ემანდ ბატონყმობაც არ აღადგინონ და თოხის ქნევითაც არ ამომხადონ სული. ქართველების ამბავი რომ ვიცი, ყველა „ამოქექავს“ „სპრავკებს“ ზანდუკებიდან, ყველა თავადი აღმოჩნდება და შევრჩები ერთი ცალი გლეხი დედასამშობლოს. ეს, რა თქმა უნდა, ოდნავ ხუმრობით, მაგრამ სერიოზულად მაშინებს – ფეოდალურზე უარესში ხომ არ აღმოვჩნდებით, რა იქნება ეს – კონსტიტუციური მონარქია თუ კონსტიტუციური მონარქიის ნიღაბს ამოფარებული თეოკრატიული მონარქია და რატომ იქნება არსით თეოკრატიული მონარქია? იმიტომ, რომ ეკლესია აქტიურად უჭერს მხარს მონარქიის აღდგენას — პატრიარქმა ჯერ კიდევ 2007 წელს შესთავაზა საზოგადოებას მონარქიის აღდგენაზე დაფიქრება (მანამდეც აკეთებდა განცხადებებს), ფორმულით: „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“. ანა ბაგრატიონისა და დავით ბაგრატიონის შეუღლებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიას და თუ მოხერხდა მონარქიის აღდგენა, სწორედ ეკლესიის ძალისხმევით მოხდება, მეფე კი აღმოჩნდება ეკლესიის ვალში. მით უმეტეს, მემკვიდრე უნდა აღიზარდოს პატრიარქის ზედამხედველობით, მოძღვართა გარემოცვაში.

ეკლესიის ვალსა და დამსახურებასაც რომ თავი დავანებოთ, მეფე – ეს ახალი ინსტიტუტი, ისედაც ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ეკლესიას – ამ ძლიერ ინსტიტუტს. კარგად გვახსოვს ქართული ეკლესიისა და პრეზიდენტ სააკაშვილის საკმაოდ პრობლემატური ურთიერთობა და ისიც, რომ სააკაშვილი, ხშირ შემთხვევაში, იძულებული იყო, ანგარიში გაეწია მღვდელმთავრებისთვის. კარგად ვნახეთ ისიც, როგორ აჩვენა ძალა ეკლესიამ ბიძინა ივანიშვილს 17 მაისს. რეალურად, ეს იყო სწორედ ეკლესიის ძალის დემონსტრირება ახალი ხელისუფლებისთვის და ამ ამბავში „ელგებეტეები“, უბრალოდ, მსუყე საბაბი აღმოჩნდა ხალხის დასარაზმად, იმ კოზაკის როლში აღმოჩნდნენ, აქლემებმა რომ ჩხუბი ქნეს და მოჭყლიტეს. დიახ, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენით, რეალურად, მივიღებთ თეოკრატიულ მონარქიას – სასულიერო იერარქიისგან კონტროლირებად მეფეს.

ერთ სტატიაში ძნელია, ყველა ფიქრი და ემოცია ჩაატიო, მაგრამ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ხან ერთი ფრაზა უფრო მეტს იტევს, ვიდრე მთელი სტატია. ასეა ახლაც და მეც გეტყვით – მეფე არა, პინგვინის ყაურმა!

შსს საგზაო წესების დარღვევისთვის დაწესებულ ჯარიმებს ანახევრებს

დაუჭერს თუ არა მხარს პარლამენტი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას?

საქართველოში მძღოლების უმრავლესობა უკმაყოფილოა იმით, რომ საგზაო წესების დარღვევაზე გადასახადები ძალიან მაღალია და საკმაოდ დიდ თანხებს იხდიან ჯარიმებში. მალე ამ მიმართულებით ვითარება საგრძნობლად შეიცვლება — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ სამართალდარღვევებზე სახდელის ოდენობა მცირდება, თუმცა ინიციატივის განხორციელებისთვის აუცილებელია რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. შესაბამისად, ღარიბაშვილის ინიციატივა, კანონპროექტის სახით, საკანონმდებლო ორგანოსაც გადაეგზავნება. გაიზიარებენ თუ არა შსს-ს ინიციატივას დეპუტატები, დრო გვიჩვენებს, მანამდე კი მის შესახებ მოგახსენებთ.

კანონპროექტის მიხედვით, 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, სიჩქარის გადაჭარბებისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა (რადარები) ნახევრდება – მძღოლს, სიჩქარის გადაჭარბებისთვის, 100-ის ნაცვლად 50 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თუ ამ ჯარიმას არ გადაიხდის, არსებული საურავის ოდენობა 500-დან 150 ლარამდე შემცირდება. ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1 500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად 500-ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

125-ე მუხლის მე-8 ნაწილი, დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის, 10-ლარიან ჯარიმას, გადაუხდელობის შემთხვევაში კი 150-ლარიან საურავს ითვალისწინებს. ჯარიმის და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, დამრღვევ მძღოლს 1 წლის ნაცვლად მართვის უფლება 6 თვის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1000-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად 500-ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე, 125-ე მუხლის მე-7 პრიმა ნაწილით, ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 100-ლარიანი ჯარიმა ნახევრდება და მისი ოდენობა 50 ლარი იქნება. თუ ჯარიმას არ გადაიხდით, 500-ის ნაცვლად, 150 ლარის ოდენობის საურავი დაგერიცხებათ. ჯარიმისა და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი მართვის უფლება 2-ის ნაცვლად, 1 წლის ვადით ჩამოგერთმევათ, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

მცირდება განმეორებით ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 200-ლარიანი ჯარიმა. ნახევრდება და მისი ოდენობა 100 ლარით განისაზღვრება. ჯარიმისა და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი, 2 წლის ნაცვლად, მართვის უფლება მძღოლს 1 წლის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 1000-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე განახევრდა 116-ე, 117-ე, 118-ე პრიმა-1, 118-ე პრიმა-2, 118-ე პრიმა-3, 119-ე, 120-ე, 121-ე, 123-ე, 125-ე, 127-ე და 127-ე პრიმა-1 მუხლებით დადგენილი ჯარიმებისა და საურავების გადაუხდელობის შემთხვევაში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები და ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის თანხები. კერძოდ: ამ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს მართვის უფლება 1 წლის ნაცვლად, 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო 2-ის ნაცვლად – 1 წლით. ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში, თუ მართვის უფლება 6 თვითაა ჩამორთმეული, ჯარიმის ოდენობა 1000-ის ნაცვლად, 500 ლარი იქნება, ხოლო 1 წლით ჩამორთმევის შემთხვევაში, 1500-ის ნაცვლად – 1000 ლარი.

ამ ინიციატივების შესახებ ჯერ მთავრობაში იმსჯელებენ, შემდეგ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანოს გადაუგზავნიან, მანამდე კი, პარლამენტში, იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, დეპუტატებს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებები გააცნო.

ახალი ინიციატივის თანახმად, წესდება გარკვეული რეგულაციები. მაგალითად, თუ ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის დროს მძღოლს ეკისრებოდა ფულადი ჯარიმა, კანონპროექტში ცვლილების შეტანის შემდეგ, მას 6 თვის ვადით ჩამოერთმევა მართვის უფლება. მოქალაქეებს კი, რომლებსაც მართვის უფლება უკვე ჩამორთმეული აქვთ, გამოცდების ხელახლა ჩაბარება აღარ მოუწევთ.

ლევან იზორია: „ეს ცვლილებები გათვლილია არა ფისკალურ ეფექტზე ბიუჯეტში, არამედ სწორედ სამართალდარღვევის პრევენციასა და, პირველ რიგში, მძღოლების უსაფრთხოებაზე. მძღოლებს, რომლებსაც დღემდე ჩამორთმეული აქვთ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ამ უფლების აღდგენისთვის აღარ მოუწევთ გამოცდის ჩაბარება. მომავალში იარსებებს მართვის უფლების შეჩერების ინსტიტუტი — მძღოლებს მართვის უფლება დროებით შეუჩერდებათ“.

დეპუტატ **ეკა ბესელია** განმარტებით, მმართველმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება ზოგადად, კონცეფციის დონეზე, საკითხს ლიბერალურად მიუდგნენ, გააუმჯობესონ რეგულაციები, შეამსუბუქონ სასჯელები და სადაც საშუალებაა, გაანახევრონ ჯარიმის ოდენობა. ამ ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარლამენტი, შსს-ს ახალ ინიციატივებს მხარს დაუჭერს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილებები შევა.

ნინო ლურსმანაშვილი

ზუგდიდში პოლიციელის დაჭრა მეჯვარესთან პირად კონფლიქტს უკავშირდება

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის განმარტებით, ზუგდიდში დაჭრილ პატრულ-ინსპექტორთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდება, რადგან არსებობს ვერსია, რომ მან მეჯვარის ცოლის გაუპატიურება სცადა: **„შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ ამ პიროვნებას მართლაც ჰქონდა კონფლიქტი თავის მეჯვარესთან და იგი პირადი კონფლიქტის გამო მეჯვარემ სცემა. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ამ პატრულ-ინსპექტორთან დაკავშირებითაც საგამოძიებო მოქმედებები ხორციელდება. არსებული ვერსიით, მან მეჯვარის ცოლის გაუპატიურება სცადა. არიან მოწმეები და დაზარალებული გოგონა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია საქმე და თუ დამტკიცდება ეს ფაქტი, მაშინ შესაძლოა, ამ პატრული-ინსპექტორის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს“.**

ზუგდიდში პოლიციელს ყური მოაჭრეს, გააშიშვლეს და პრეზიდენტის რეზიდენციასთან დატოვეს. საპატრული პოლიციის თანამშრომელი გ. ანჩაბაძე ზუგდიდში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან, დაჭრილი იპოვეს, რომელიც იქვე მცხოვრებ დევნილებს დახმარებას სთხოვდა.

ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით, დაზარლებული სისხლში ცურავდა და ტანზე არაფერი ეცვა. თვითხილველისვე განმარტებით, პოლიციელი ამ ადგილას სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოაგდეს. ანჩაბაძე ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციამ დაკითხა ზუგდიდში დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ხათუნა ხარჩილავა, რომლის განცხადებით, ორი დღის წინ, პოლიციელს გაუპატიურების მცდელობა სწორედ ამ დასახლებაში ჰქონდა: **„საშინელი ხმაური იყო, გოგონა ყვიროდა, მიშველეთ, მაუპატიურებენო. აღმოჩნდა, რომ გოგა ანჩაბაძე მეგობრის მეუღლის გაუპატიურებას ცდილობდა. გოგონას გადარჩენა შევძელით“.**

პოლიციას უკვე ჩაბარდა ანჩაბაძის დაჭრაში ეჭვმიტანილი კახა გულორდავა. დაკავებულის ადვოკატის ჯიტა გულუას განცხადებით, ანჩაბაძე და გულორდავა ბავშვობის მეგობრები იყვნენ და მომხდარი სწორედ გულორდავას მეუღლის გაუპატიურების მცდელობას უკავშირდება.

„პირველი“

ვერსიანიუსი

შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1983 წელს დაბადებული მაკა ლ. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცავებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული 6 შეკვრა ნარკოტიკი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 0,496656 გრ ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და ნარკოტიკული საშუალების გასაღების მზადების ფაქტზე (სსსკ-ს 18-260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

სასაზღვრო პოლიციამ ბელიზის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის საზღვაო რაიონში) შესვლის წესის დარღვევის ბრალდებით, ბელიზის დროშის ქვეშ მცურავი გემი IREM დააკავეს, რომელიც თურქეთის მიმართულებით მიცურავდა. გემზე იმყოფებოდნენ კაპიტანი – აზერბაიჯანის მოქალაქე ავიფ მეჩიო და ეკიპაჟის წევრები: უკრაინის 5 და აზერბაიჯანის რესპუბლიკის 2 მოქალაქე.

გამოძიება ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 322-ე პრიმა მუხლი).

„ვერსიანიუსი“

EBRD-მა საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2%-მდე შეამცირა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2013 წელს 3-დან 2%-მდე შეამცირა. როგორც ევრობანკის მიერ გავრცელებულ „რეგიონის ეკონომიკურ პერსპექტივებშია“ აღნიშნული, 5%-დან 4%-მდე შემცირდება მომავალი წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც, ინფლაციის დონე კი 0%-ით განისაზღვრა. ევრობანკის განმარტებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებამ, აგრეთვე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შეაფერხა, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკურ ტრანსფორმაციასა და საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

„მთავრობის მიერ ხარჯების შემცირებამ და კერძო ინვესტორების თავშეკავებულმა მოქმედებებმა სამშენებლო და სამრეწველო სექტორებში რეცესიას შეუწყო ხელი. სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა კი წახალისდა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საკუთარ ბაზარზე ქართული პროდუქცია დაუშვა. ეკონომიკური ზრდა, სავარაუდოდ, 2014 წელს დაჩქარდება იმ პირობების გათვალისწინებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური გაურკვევლობა აღარ იქნება და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობებიც გაუმჯობესდება“, — აღნიშნულია ევრობანკის კვლევაში.

საერთაშორისო ექსპერტების პესიმისტური შეფასება მთლიანად აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონმა დაიმსახურა. ევრობანკის გათვლებით, რეგიონის ეკონომიკა, საშუალოდ, 3%-ის ნაცვლად, 1%-ით გაიზრდება. შესაბამისად, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს უკრაინას (-0,5%), ბელორუსს (0,5%), მათ მოსდევს საქართველო (2%), სომხეთი (2,5%), მოლდოვა (3,5%), აზერბაიჯანი (4,5%). რუსეთის ეკონომიკა 2013 წელს 1,3%-ით, ხოლო თურქეთის — 3,7%-ით გაიზრდება.

bpn.ge

მთავრობამ ბიზნესს საინვესტიციო ხელშეკრულებების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები აპატია

ამის შესახებ განცხადება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა. მინისტრის განმარტებით, ჯარიმები ეპატია მაგალითად თბილისის უნივერმაღს, ასევე კომპანია „საირმეს“. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, საუბარია კომპანიებისთვის ათეულობით მილიონი ლარის ჯარიმების პატიებაზე: „ძალიან ბევრი საინვესტიციო პროექტი, ასევე ძალიან ბევრი საინვესტიციო ვალდებულები, რომლებიც გააჩნდათ კომპანიებს და იმ გარემოს გამო, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა ისინი გაჩერებულები იყვნენ. ჩვენ ამ ჯარიმების ჩამოწერა მოვახდინეთ, იმისათვის, რომ ამ კომპანიებისთვის ხელფეხი გაგვეხსნა და გაეგრძელებინათ მუშაობა. ასეთი ძალიან ბევრი კომპანია იყო. ათეულობით მილიონობით ჯარიმაზეა საუბარი და ეს კომპანიები გაჩერებულები იყვნენ. დღეს კი მათ მუშაობა განაახლეს“.

bpn.ge

<u>რა უნდა იცოდნენ გლეხებმა და ფერმერებმა კოოპერატივებში გასაწევრიანებლად</u>

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პრეზენტაცია გაიმართა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, შალვა ფიფიას გარდა, პრეზენტაციას საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტარები, დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გიორგი მიშელაძე უხელმძღვანელებს. სააგენტო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. პირველ ეტაპზე, სააგენტოს წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამუშაოს ჩაატარებენ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭების პროცესს დეკემბრიდან დაიწყებენ.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო შეიქმნა. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი ფერმერთა ნებაყოფლობითი, სარგებელზე ორიენტირებული კოოპერაციის განვითარებაა, რადგან სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მიწების კონსოლიდაციას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

კოოპერატივების შექმნის ორი მთავარი პრინციპი ნებაყოფლობითობა და თანასწორუფლებიანობაა. გლეხები და ფერმერები კოოპერატივებში საკუთარი სურვილით წევრიანდებიან და ამ სტრუქტურას დემოკრატიული პრინციპით მართავენ. კოოპერატივის ყველა წევრი თანასწორია — მნიშვნელობა არ აქვს, გლეხი 100 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს თუ 1 ჰექტარს. ერთი წევრი ერთ ხმას ნიშნავს და გადაწყვეტილებას კოოპერატივის ყველა წევრი ერთნაირად იღებს. სწორედ ამ პრინციპის გამო განსხვავდება თანამედროვე, ცივილური კოოპერატივები, საბჭოური „კოლხოზებისგან“, მაგრამ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს კოოპერატივების მიმართ განსაკუთრებული შიში ჰქონდათ და ამის გამო, ეს იდეა აქამდე ვერ განხორციელდა. არადა, კოოპერატივების მიმართ პანიკური შიში გაცილებით ღრმაა და თავისი ისტორია აქვს — რეალურად, კოოპერატივების ძალიან დიდი ხნის წინ მივიწყებული ძველი მეთოდია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის დროს, რუსეთის იმპერიაში კოოპერატივის იდეა ევროპაში განსწავლულმა ახალგაზრდა თაობამ დანერგა. სხვათა შორის, იმ პერიოდში კოოპერატივები საქართველოშიც, როგორც რუსეთის ერთ-ერთ იმპერიაში, ალაგ-ალაგ გაჩნდა, თუმცა მაშინდელი კოოპერატივები ნამდვილად არ იყო ის, რასაც სოფელი უნდა გაეძლიერებინა. რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა კი დაემხო, მაგრამ გლეხი ბატონისგან რეალურად არ გათავისუფლებულა. იმისთვის, რომ მიწა დაემუშავებინა და პროდუქცია შეექმნა, გლეხი მიწას იჯარით ისევ ბატონისგან ან გამდიდრებული გლეხებისგან იღებდა, საბოლოოდ, გადასახადები ახრჩობდა და სინამდვილეში, არც არაფერს ქმნიდა. ასეთ პირობებში, კოოპერატივები ნამდვილად ვერ განვითარდებოდა. კოოპერატივების მიმართ შიში მე-20 საუკუნის მიწურულს ავადსახსენებელ 90-იან წლებშიც გაძლიერდა. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და პოსტკომუნისტური სივრცის ეკონომიკის გადასარჩენად, კოოპერატივები სოკოებივით მომრავლდა, მაგრამ უშედეგოდ.

გლეხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებს

არადა, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა სწორედ სოფლად შექმნილი კოოპერატიული გაერთიანებების საშუალებით აღორძინდა. იქ, სადაც „ჯაყოები“ არ არიან, სადაც კოოპერატივსა და „კაპრატივს“ შორის უდიდესი განსხვავებაა, ფერმერებისა და გლეხების ნებაყოფლობითი გაერთიანების კომერციული მოგება არნახულ მასშტაბს აღწევს. ასეთ ქვეყნებში, კოოპერატივების საშუალებით, სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიან პროდუქციასაც ქმნიან და მათი საექსპორტოდ რეალიზებაც არ უჭირთ. საქართველოში, სადაც სოფლის მეურნეობა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა, რასაც ხელისუფლებაც აღიარებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა **შალვა ფიფიამ** აღნიშნა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კოოპერატივების შესაქმნელად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ სოფლის მეურნეობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას: **„სოფლის მეურნეობაში, რომელიც წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ძირითადი გამოწვევა რესურსების კონსოლიდაციაა. ამის ერთ-ერთი ეფექტური გზა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაა. ველოსიპედს არ ვიგონებთ, რადგან კოოპერაცია ყველა ქვეყანაში მიღებული პრაქტიკაა. ხაზგასმით ვაცხადებ, კოოპერატივი „კოლხოზი“ არ არის, აქ ნებაყოფლობითი პრინციპია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერავინ აიძულებს ვინმეს, გახდეს კოოპერატივის წევრი. კოოპერატივში დემოკრატიულობის პრინციპი მოქმედებს. ერთ წევრს ერთი ხმა აქვს. იმედი არ მაქვს, რომ ათასობით კოოპერატივს შევქმნით, რადგან ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი, მაგრამ ქართველი გლეხის პრაგმატულობის მჯერა და, დარწმუნებული ვარ, ქვეყანაში რამდენიმე ათეული ან ასეული კოოპერატივი გვექნება. როდესაც კოოპერატივში გაწევრიანებული გლეხების მეზობლები ამ წარმატებას დაინახავენ, კარგ მაგალითს მიბაძავენ და გაწევრიანდებიან“.**

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა **კახა კალაძემ** აღნიშნა, რომ ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკის განვითარებაა, რომლის ძირითადი ნაწილია სოფლის მეურნეობა. კალაძის თქმით, მთავრობისთვის მნიშვნელოვანია, სოფლის გაძლიერება, რადგან ძლიერი სოფელი, ძლიერ რაიონს და ძლიერ ქალაქს ნიშნავს, რაც საბოლოოდ, ქვეყანას აძლიერებს.

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის **დავით ნარმანიას** განცხადებით კი კოოპერატივები, საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც მთავრობა ახორციელებს და კოოპერატივების შექმნის ორგანიზება, გულისხმობს, რომ სოფლის მეურნეობაში, რაც შეიძლება მეტი კონკურენტუნარიანი და საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქცია შეიქმნას.

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა, **გიორგი მიშელაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, კოოპერატივები ორგანიზაციული ფორმით დაფუძნდება: **„მიუხედავად იმისა, ფერმერული გაერთიანებები კოოპერატივის სტატუსს მოიპოვებენ თუ არა, საქმიანობა არ ეკრძალებათ. თუმცა სტატუსის მოპოვების შემდეგ, ისინი საგადასახადო შეღავათების არეალში მოექცევიან. კოოპერატივის ქონება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენება, ქონების გადასახადით არ დაიბეგრება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი მოგების გადასახადით არ დაიბეგრება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც შპს-ს შემთხვევაში, 20 000 ლარს შეადგენს. საგადასახადო შეღავათების გარდა, კოოპერატივებს სახელმწიფო უფასოდ გაუწევს საინფორმაციო მომსახურებას და აქ გაერთიანებული გლეხების კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იზრუნებს, რათა მათ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა შეძლონ. სტატუსის მოპოვებით, გლეხებსა და ფერმერებს უფრო მეტი სიკეთე ექნებათ, ვიდრე სტატუსის გარეშე“.**

გიორგი მიშელაძის თქმით, სააგენტო, სტატუსის მქონე კოოპერატივების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბანკს შექმნის. მასში თავს მოიყრის მონაცემები იმის შესახებ, რა პროდუქციას აწარმოებენ კოოპერატივები, რა რაოდენობის პროდუქციას მიიღებენ და კონკრეტულად, რომელი ქვეყნის ბაზარი სჭირდებათ პროდუქციის სარეალიზაციოდ. გიორგი მიშელაძის განცხადებით, იმისათვის, რომ კოოპერატივმა სტატუსი მიიღოს, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, გლეხთა გაერთიანებაში 3 წევრიც საკმარისია, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, 5 წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

„m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო არსებული გამწვანება ზამთრის სეზონისთვის მოამზადეს

რატომაა გარემოს დაცვა კომპანიის პრიორიტეტული მიმართულება და რატომ განახორციელებს დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“ ახალ პროექტებს „მწვანე სტატუსის“ პრინციპით

„m² უძრავი ქონების“ ბინები მხოლოდ იმით არ გამოირჩევა, რომ კომფორტულია, უმაღლესი ხარისხის რემონტით ბარდება და უსაფრთხოების ნორმებიც დაცულია — როგორც ჩანს, კომპანიაში იმაზეც ზრუნავენ, საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო არსებული ნარგავები შენარჩუნდეს და გაიხაროს. გამონაკლისი, არც იპოდრომთან მშენებარე კომპლექსია, ამ საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო კომპანიამ მრავალწლიანი ნარგავების მოვლის მასშტაბური სამუშაოები განახორციელა: ხელახლა დაბარეს ნარგავების გარშემო მიწა, ხეებიდან ჩამორეცხეს მშენებლობის მიმდინარეობის დროს დალექილი სამშენებლო მტვერი, თითოეული ხე დაამუშავეს სპეციალური სტიმულატორით, ფესვები გააჯანსაღეს სპეციალური გრანულებითა და სასუქით... ასე მომზადდა ტერიტორიაზე არსებული ხეები ზამთრის სეზონისთვის. როგორც კომპანიის „m² უძრავი ქონება“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი ბურდილაძე** აცხადებს, მიუხედავად სამშენებლო პროფილისა, გარემოს დაცვა კომპანიისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა.

— ბატონო ირაკლი, რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვა თქვენი კომპანიისთვის, მით უმეტეს, რომ საქმიანობა მშენებლობაა?

— გარემოს დაცვა ჩვენი კომპანიისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. ახალ პროექტებს სწორედ ენერგოეფექტურობის პრინციპით ვაპროექტებთ, რაც ბუნებრივი აირის მოხმარებასა და გარემოზე მავნე ზეგავლენას ამცირებს. გარდა ამისა, შენობებს ვარგებთ არსებულ რეალობას, რათა შევინარჩუნოთ მრავალწლოვანი ხეები და გამწვანების ზოლი.

— როგორი იქნება „m² იპოდრომთან“ სარეკრეაციო ზონა და ეზო?

— „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსს ექნება 6,000 მ²-ზე მოწყობილი სარეკრეაციო ზონა, სათამაშო მოედნით ბავშვებისთვის, ასევე კალათბურთისა და ფეხბურთის კომბინირებული სტადიონით. ჩვენ უკვე დავასრულეთ კომპლექსის მიდამოებში არსებული მრავალწლოვანი ხეების მომზადების პროცესი ზამთრის სეზონისთვის. რეკრეაციულ ზონაში კი ახალი ნერგების დარგვას გაზაფხულზე ვგეგმავთ.

— გარემოზე ზრუნვას მომავალში, ახალი პროექტების განხორციელების დროსაც აპირებთ?

— დიახ. როგორც მოგახსენეთ, ამ მიმართულებით ჩვენი ძალისხმევა უფრო გააქტიურდება — ახალ პროექტებს „მწვანე სტატუსის“ პრინციპით ვაპროექტებთ, რათა მივაღწიოთ მათ ენერგოეფექტურობას.

ახალი პროექტების დაპროექტების პარალელურად, m² იპოდრომთან მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსს ასრულებს. მიმდინარეობს შიდაეზოს სამუშაოები — აგებენ ასფალტის საფარს, აწყობენ ქვაფენილებსა და საყვავილეებს. თავად კომპლექსში ბინების რემონტი გრძელდება. პროექტის დასრულებამდე, გარემონტდა და მოეწყო ერთი საჩვენებელი ბინა (შოურუმი), სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ, როგორი იქნება ბინები დასრულებული რემონტით და საკუთარი თვალით შეაფასონ სარემონტო სამუშაოების ხარისხი.

„m² იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსში გასაყიდი ბინების არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს ბინები როგორც კვადრატული მეტრობით, ასევე ოთახების რაოდენობის მიხედვით პირდაპირ ვებგვერდიდან (www.m2.ge). შესაძლებელია ისეთი ბინის შეძენა, რომელიც მოიცავს ერთ საძინებელს, ე.წ. სტუდიოს ტიპისაა და საერთო ფართი 47 მ²-იდან იწყება. მათთვის კი, ვისაც სურს უფრო დიდი ბინის მფლობელი გახდეს, არის ორ, სამ, ოთხ-საძინებლიანი და დუპლექსის ტიპის ბინების არჩევანი. „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელ კომპლექსში, ბინები დასრულებული რემონტით, 2014 წლის შემოდგომას ჩაბარდება.

ნინო ლურსმანაშვილი

თიბისი ბანკის ინტერნეტბანკი მსოფლიოში საუკეთესოდ სერვისად აღიარეს!

Global Finance-ის დაჯილდოებაზე ბანკმა ორ ნომინაციაში გაიმარჯვა

თესო ინტერნეტბანკი, არამედ გამორჩეული და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბითაც. ეს გვაძლევს უფრო მეტ სტიმულს, შევინარჩუნოთ პირველობა ბაზარზე, პროგრესისა და ინოვაციის თვალსაზრისით“.

საერთაშორისო აღიარება თიბისი ბანკისთვის უცხო ნამდვილად არ არის, ამჯერად კი კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია — 5 ნოემბერს აშშ-ში, ქალაქ ნიუ იორკში გამართულ ჟურნალ Global Finance-ის ყოველწლიურ დაჯილდოებაზე თიბისი ბანკის ინტერნეტბანკი „მსოფლიოში საუკეთესო კომუნალური გადახდების სისტემის მქონე ინტერნეტბანკად“ დასახელდა. ამავე დაჯილდოებაზე თიბისი ბანკმა მეორე ნომინაციაშიც გაიმარჯვა — იგი „მსოფლიოში საუკეთესო ინტეგრირებულ ვებგვერდად“ აღიარეს.

ეს სასიამოვნო სიახლე ჟურნალისტებს ბანკის წარმომადგენლებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე თავად აცნობეს. თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის, **ვახტანგ ბუცხრიკიძის** თქმით, ამ მასშტაბის საერთაშორისო აღიარება დღემდე არც ერთ ქართულ ბანკს არ ჰქონია: **„დღევანდელი დღე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თიბისი ბანკი ინტერნეტბანკის სერვისში მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის, Global Finance-ის კონკურსის გამარჯვებულთა სიაში თიბისი ბანკი მოხვდა ისეთი ცნობილი და ავტორიტეტული ბანკების გვერდით, როგორებიცაა Citi, HSBC, Standard Chartered, Garanti Bank, Scotiabank... ჩვენთვის დიდი პატივია ასეთი პრესტიჟული ჯილდოს მიღება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემისგან. დღევანდელი წარმატება იმას ნიშნავს, რომ თიბისი ბანკმა შექმნა არა მარტო რეგიონში საუკეთესო ინტერნეტბანკი, არამედ გამორჩეული და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბითაც. ეს გვაძლევს უფრო მეტ სტიმულს, შევინარჩუნოთ პირველობა ბაზარზე, პროგრესისა და ინოვაციის თვალსაზრისით“.**

ვახტანგ ბუცხრიკიძემ მადლობა გადაუხადა გუნდს, რომლის დამსახურებაცაა ბანკის წარმატება, მათ შორის კი, უპირველესად, პროექტის მენეჯერი, თიბისი ბანკის საცალო განვითარების დირექტორის მოადგილე ვაჟა ბერიაშვილი იგულისხმა, რომელიც ნიუ იორკში, Global Finance-ის დაჯილდოების ცერემონიალსაც დაესწრო და პრიზები მიიღო. თავად **ვაჟა ბერიაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიღწეული შედეგით ამაყობს: **„ვამაყობთ, რომ შევძელით პირველად საქართველოში, ქართულ საბანკო სივრცეში ასეთი მსოფლიო დონის აღიარების მოპოვება. ნიუ იორკში გამართულ დაჯილდოებაზე მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან მონაწილეობდა 250 ბანკი. თიბისი ბანკის ინტერნეტბანკი წარდგენილი იყო, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ერთ-ერთი საუკეთესო ონლაინსერვისი“.** ვაჟა ბერიაშვილმა ისიც განმარტა, რომ დღეს ბანკის 100 ათასზე მეტი კლიენტი სარგებლობს ინტერნეტბანკით, მათი რაოდენობა კი, წელიწადნახევარში, ანუ ახალი ინტერნეტბანკის დანერგვის შემდეგ (თიბისი ბანკმა ინტერნეტბანკი ბაზარზე პირველმა, 2001 წელს დანერგა. 2012 წელს კი ინტერნეტბანკი განახლდა და გაუმჯობესდა) 5-ჯერ გაიზარდა. ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება, რადგან დახვეწილი საბანკო პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა, სახლიდან გაუსვლელად, წამებში განახორციელოთ ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, უფრო და უფრო მოსახერხებელი და აქტუალური ხდება.

მაინც რა გამოარჩევს თიბისის ინტერნეტბანკს ქართულ ბაზარზე არსებული სხვა ბანკების იმავე ტიპის სერვისისგან? ბანკის საცალო განვითარების დირექტორის მოადგილის განმარტებით, თიბისი ბანკი პირველი იყო, რომელმაც მომხმარებელს მისცა საშუალება, ინტერნეტის ერთ გვერდზე ჰქონოდა განთავსებული კომუნალური გადასახადების ჩამონათვალი და რამდენიმე ტიპის გადასახადი ერთდროულად, ღილაკზე ხელის ერთი დაჭერით გადაეხადა. გარდა ამისა, თიბისი ბანკის ინტერნეტბანკს აქვს ფუნქცია „ჩემი ფინანსები“, სადაც აისახება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა, ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა.

თიბისი ბანკმა 2013 წლის მაისში იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი ინტერნეტბანკიც განახლებული სახით, გრძელვადიანი კვლევებისა და კონსულტაციების შემდეგ დანერგა. იურიდიული პირების ინტერნეტბანკს აქვს ყველა ის ფუნქცია, რაც ფიზიკური პირებისთვისაა განკუთვნილი და ამასთან, მთლიანად მორგებულია ბანკის კორპორატიული კლიენტების მოთხოვნებზე. კერძოდ, კორპორატიული ინტერნეტბანკით სარგებლობის გზით შესაძლებელია: ჯგუფური გადარიცხვების შესრულება (ხელფასების ჩარიცხვა, გადასახადების გადახდა...), ასევე ბანკში მიუსვლელად ახალი მომხმარებლების დამატება და მათთვის უფლებების მინიჭება... ამ ფონზე, გასაკვირი აღარაა, რომ დღეს თიბისი ბანკის იურიდიული პირების ინტერნეტბანკის მომხმარებელთა რაოდენობა მთლიანი კორპორატიული კლიენტების 36%-ს შეადგენს და მაჩვენებელი დინამიურად მზარდია.

Global Finance-ის ინტერნეტბანკის ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია მსოფლიოში და ის უკვე მე-14 წელია ავლენს ონლაინ საბანკო სერვისების წამყვან, საუკეთესო პროვაიდერებს მსოფლიო მასშტაბით.

დღემდე თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილბანკს 9 საერთაშორისო ჯილდო აქვს. არც ისე დიდი ხნის წინ, Global Finance-მა თიბისი ბანკის ინტერნეტბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესოდ აღიარა შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტბანკი საქართველოში (2012, 2013); საუკეთესო კომუნალური გადახდების სისტემა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (2013); საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (2012, 2013). არანაკლები წარმატება მოიპოვა იურიდიული პირებისთვის განკუთვნილმა ინტერნეტბანკმაც, რომელიც Global Finance-ის მიერ დაჯილდოვდა ორ ნომინაციაში: საქართველოში საუკეთესო ინტერნეტბანკი იურიდიული პირებისთვის (2013); ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო ინტეგრირებული ვებგვერდი (2013).

ნინო ლურსმანაშვილი

„ვარდვევ 15-წლიან დუმილს — მალხაზ სონღულაშვილი ერეტიკოსად გამოაცხადეს და აღარ არის ჩვენი ეკლესიის მთავარეპისკოპოსი“

„ვერსიის“ სტატიამ ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიაში სკანდალი გამოიწვია

„ვერსიის“ №113 (869)-ში დაიბეჭდა ლაშა ცაიშვილის სტატია სათაურით — „რატომ მიიღო თბილისის საპატიო მოქალაქეობა ღვთის, ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მგმობელმა ბაპტისტთა მთავარეპისკოპოსმა?“ სტატიაში საუბარია იმაზე, რას ნიშნავდა თბილისის მერის, გიგი უგულავას მიერ თბილისის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭება ფსევდომთავარეპისკოპოსის, მალხაზ სონღულაშვილისთვის, რომლის ერთ-ერთი წერილი „გვაქვს უთვალავი ფერითა“, სტატიის ავტორს განხილული აქვს. წერილის დიდი ნაწილი ჰომოსექსუალიზმს ეხება. სონღულაშვილის აზრით, „ჰომოსექსუალიცა და ჰეტეროსექსუალიც ღვთის სახედ და ხატადაა შექმნილი“. „ვერსიის“ სტატიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მედიასა და სოციალურ ქსელებში, იგი სკანდალის აგორების საფუძველიც გახდა და საკმაოდ საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მხრიდანაც — ეკლესია ემიჯნება ე.წ. მთავარეპისკოპოსის მოსაზრებასა და დამოკიდებულებას ჰომოსექსუალებისა და ჰომოსექსუალიზმის ანუ „სოდომისა და გომორის ცოდვის“ მიმართ. პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ წერილს, „ვერსია“ მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

გამოხმაურება ბატონი ლაშა ცაიშვილის წერილზე

სანამ რაიმეს ვიტყვი ბაპტისტური ეკლესიისა და მალხაზ სონღულაშვილის ურთიერთდამოკიდებულებაზე, მინდა, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის სახელით განვაცხადო — მთლიანად ვემიჯნებით ე.წ. მთავარეპისკოპოსის მოსაზრებასა და დამოკიდებულებას ჰომოსექსუალებისა და ჰომოსექსუალიზმის მიმართ და ისევე, როგორც ბატონი ლაშა აღნიშნავს, მეც მინდა ვთქვა, რომ ეს სოდომისა და გომორის ცოდვაა, ის ცოდვა, რომლის გამოც მოისპო ეს ქალაქები და ეს მდგომარეობა სხვასაც რომ არ გადასდებოდა, ამოიძირკვა და განადგურდა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ვიღაც უნდა გავანადგუროთ (რადგან ღმერთია მხოლოდ ის პიროვნება, ვისაც ეს ძალუძს და უფლებაც აქვს, რომ გააკეთოს), მაგრამ აუცილებლად უნდა შევუშალოთ ხელი ამ სიბილწის აგიტაციასა და პოპულარიზაციას. ამასთანავე უნდა გამოვავლინოთ სწორი დამოკიდებულება უფლის მიმართ, რის შედეგადაც შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ ეს სისაძაგლე, რომელიც უფლის თვალში სისაძაგლედ სჩანს, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით.

ლაშა ცაიშვილის წერილში მალხაზ სონღულაშვილი მოხსენიებულია, როგორც ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი, რაც არ შეესაბამება სიმართლეს — თითქმის 15 წელია მალხაზ სონღულაშვილი (თავისი მიმდევრებით) ევანგელისტურ-ბაპტისტურ აღმსარებლობას გამოეთიშა (აღმსარებლობა შეგიძლიათ იხილოთ exb.ge-ზე). მან მთლიანად გადაუხვია ჩვენი ეკლესიის მოძღვრებისგან და ჩამოაყალიბეს სასაცილო მიმდევრობა (ჰიბრიდი) პროტესტანტების, კათოლიკებისა და მართლმადიდებლების ნაზავით.

ასე რომ, დღეს კაციშვილმა არ იცის, ვინ არიან ისინი — ხან მუსულმანებს ეკედლებიან, ხან კათოლიკებს და ხან მართლმადიდებლებს, თუმცა ეს უკანასკნელები ახლოს არ იკარებენ.

თავიანთ ეკლესიაში ეპისკოპოსად ქალი დანიშნეს, რაც ანტიბიბლიურია და ამ დროს, მთელი დღე სხედან ერთ-ერთ კერძო ტელევიზიაში და თვითრეკლამას იკეთებენ.

15 წლის წინ, 27-ზე მეტი ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია გაემიჯნა მალხაზ სონღულაშვილის მიმდევრობას და იგი ერეტიკოსად გამოაცხადეს, ასე რომ, ევანგელისტურ-ბაპტისტური კავშირი, ჩვენის სახით, არაფერ შუაშია იმ სამარცხვინო საქციელთან, რასაც ბოლო დროს სჩადის მალხაზ სონღულაშვილი და მისი ეკლესია.

ჩვენი ეკლესია თითქმის 15 წელი დუმდა და არც ვაპირებდით პოლემიკას, მაგრამ ე.წ. მთავარეპისკოპოსი გასცდა ყოველგვარ ზღვარს — ტელევიზიაში ჩვენი სახელით გამოდის, ამიტომ მინდა, დავარღვიო დუმილი და განვაცხადო — მალხაზ სონღულაშვილი უკვე დიდი ხანია აღარ არის ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის მთავარეპისკოპოსი! ჩვენი ეკლესიისათვის მიუღებელია ქალი, როგორც ღვთისმსახური: მქადაგებელი, დიაკვანი, ხუცესი და მით უმეტეს, ეპისკოპოსი.

რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, ეს ავადმყოფობა კი არა, ღმერთის მსჯავრია, რასაც მოწმობს რომაელთა მიმართ პავლე მოციქულის წერილის პირველი თავი.

ვფიქრობ, ყოველი ადამიანი გააკეთებს სწორ დასკვნას და მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მას თავიდან ააცილებს უფლის მსჯავრის ამ გამოვლინებას.

რატომ მიიღო თბილისის საპატიო მოქალაქეობა ღვთის, ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მგმობელმა ბაპტისტთა მთავარეპისკოპოსმა?!

ლაშა ცაიშვილი

მას შემდეგ, რაც 2003 წლიდან ხელისუფლების სათავეში ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტად კი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, ქვეყანაში ეტაპობრივად დაინყო ღირებულებათა აღრევა, რამაც პიკს 2013 წლის 6 ოქტომბერს გამართულ თბილისობის დღესასწაულზე მიაღწია. სპპ-ტიკი თბილისელის წოდების მინიჭების ცერემონია თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ გაიმართა, რა დროსაც ქალაქის მერის, გიგი უგულავას მიერ ეს ჯილდო, სხვა ჩვიდმეტ მოქალაქესთან ერთად, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის „მთავარეპისკოპოსს“, მალხაზ სონღულაშვილს გადაეცა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა მესიჯები გაუგზავნა ბატონმა მერმა საზოგადოებას ღვთის, ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მგმობელი ადამიანის თბილისის საპატიო მოქალაქედ გამოცხადებით.

მსგავსი ნაბიჯი, ალბათ, უახლოეს მომავალში, თბილისის ისტორიის სამარცხვინო ფურცლად ჩაინერება; მეტიც, ამგვარი რამ მთელი ერის შეურაცხყოფა და სულში ჩაფურთხება გახლავთ. სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და, განსაკუთრებით, თბილისელები ამ მოვლენას მდუმარედ და მორჩილად შეხვდნენ. ნუთუ უკვე შევეგუთეთ ღირებულებათა შერევასა, უკვე გადაგვარდა ჩვენი მენტალიტეტი, შევეშვით სულში ჩაფურთხებას და ისე მშვიდად ვყლაპავთ ჩაფურთხებულს, გულიც ალარ გვერევა?! სიტყვა რომ არ პროპაგანდისადმი, ბატონ სონღულაშვილს კი მისი ნაწილი ფარულ ჰომოსექსუალად გამოაცხადეს ისე, რომ არ აკონკრეტებს, რომელი ნაწილია ამგვარი პრობლემის მატარებელი. ამგვარი საქციელითაც კი მთელ საზოგადოებას ეცინება წირქი. განა ეს არ არის მტრული და სამუსულელი დამოკიდებულება ჩვენი ერის უდიდესი ნაწილისადმი? არადა, იგი ჰომოფობებს ადანაშაულებს ანალოგიურ გრძნობებში და „მთავარეპისკოპოსის“ მხრიდან ეს არ არის სახარებისეული მცნების დარღვევა მოყვასის სიყვარულთან ანდა მტრის სიყვარულთან მიმართებაში (თუ მტრად აღიქვამს ამ ადამიანებს)?..

სანტტერესოა, თუ უმცირესობას აქვს აზრის გამოხატვის უფლება, უმრავლესობას რატომ არა აქვს? თუ უმცირესობა თავს უზნეობის პროპაგანდას მახვევენ, ეს გამობატების თავისუფლებაა და თუ უმრავლესობისთვის რაიმე მოუღებელია, არაკონსტიტუციურია? სანტტერესოა, საიდან გაჩნდა მსგავსი ლოგიკა, ეს ხომ არ ნიშნავს უმრავლესობისთვის ყველანაირი უფლების ჩამორთმევასა და მათ სულიერ ტერორს? რეალურად, დღეს უმცირესობა ბატონობს და უმრავლესობა ტოტალურად იგნორირებულია, თუმცა ფსევდოდემოკრატები ყველაფერს ისე გვაჩვენებენ, თითქოს უმრავლესობაა ტირანი და უმცირესობა დევნილი და დაჩაგრული. რაც შეეხება საკითხს, არის თუ არა ჰომოსექსუალიზმი დაავადება, პასუხი ცალსახაა, როგორც სარწმუნოებრივი, ასევე სამედიცინო კუთხით — ეს დაავადებაა. ამასთან, ისიც ყველამ ძალიან კარგად იცის, ამ პრობლემას თანამეგობრეკი მსოფლიოში დაავადებას რატომ აღარ უნოდებენ — ეს ამსოფლის იმ ძლიერებმა მოიგერეს, ვინც დღეს მთელ მსოფლიოს კანონს დიქტებენ ამ უზნეობის დანერგვას.

კვლავ მივუბრუნდეთ ბატონი მალხაზის წერილის შინაარსს. აი, როგორ აგრძელებს იგი თავის მოსაზრებებს: **„ქრისტიანთ თეო-**

„ვარდვევ 15-წლიან დუმილს — მალხაზ სონღულაშვილი ერეტიკოსად გამოაცხადეს და აღარ არის ჩვენი ეკლესიის მთავარეპისკოპოსი“

კონფლიქტის ზონა

რას მოუტანს საქართველოს ეუთო-ს წარმომადგენლობის აღდგენა?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ეუთო-ს გენერალური მდივნის, **ლამბერტო ზანიერას** განცხადებით, რამდენიმე თვეში ორგანიზაცია საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობის აღდგენის პროცესს დაიწყებს: **„საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლებასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ცოტა ხნის წინ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვენაში, ეუთო-ს საბჭოზე სიტყვით გამოვიდა, გაისად საქართველოში ვიზიტს ვგეგმავ და ერთ-ერთი მთავარი საკითხი ეუთო-ს წარმომადგენლობის აღდგენა იქნება, რაც რეგიონში პროექტების მეტად ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს“.**

საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობას რუსეთმა ვეტო 2009 წელს, მას შემდეგ დაადო, რაც საქართველოს რეგიონები — ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა. ამჟამად, ეუთო-ს როლი საქართველოსთან მიმართებაში განისაზღვრება თანათავმჯდომარის რანგით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების მეურვეობით.

დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერც ერთმა მორიგე თავმჯდომარე ქვეყანამ ვერ მოახერხა ეუთო-ს სრულფასოვანი მისიის დაბრუნება საქართველოში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საბერძნეთის თავმჯდომარეობა, თუმცა რუსეთი არც მის მიერ შეთავაზებული სტატუსნეიტრალური მისიის ამოქმედების იდეას დათანხმდა.

ეუთო-ს საქმიანობის დაბლოკვის შესაძლებლობა რუსეთს მისცა ეუთო-ში დამკვიდრებულმა კონსენსუსის პრინციპმა, რომლის მიხედვით, ამა თუ იმ საკითხის ჩასაგდებად, 57 წევრი სახელმწიფოდან რომელიმე ერთის უარიც საკმარისია.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს ლამბერტო ზანიერის ლატვიაში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა, სადაც ისაუბრეს ეუთო-ს ფარგლებში საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტებზე, მათ შორის ეუთო-ს სრულფასოვანი მისიის აღდგენაზე, ეუთო-ს მონაწილეობაზე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ ვითარებაზე.

ამის შემდეგ, ეუთო-ს გენერალურ მდივანს სლოვაკეთში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და სამინისტროს დელეგაცია შეხვდნენ. თავდაცვის მინისტრმა საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის საკითხი განიხილა და ალასანიამ აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

„მისია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში თუ არ შეუშვეს, მის აქ ყოფნას რა ფასი აქვს?“

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი **ირაკლი სესიაშვილი** მიიჩნევს, რომ საქართველოში ეუთო-ს მისიის ყოფნა ერთგვარი გარანტია იქნება და მისი საშუალებით, საერთაშორისო საზოგადოებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაცია მიეწოდება: **„ეუთო-ს წარმომადგენლობა სხვა ორგანიზაციებსაც შეუწყობს ხელს, დემოკრატიის განვითარებაში წვლილი შეიტანონ“.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრ **გიორგი ბარამიძის** შეფასებითაც, კარგი იქნება, თუ საქართველოში ეუთო-ს მისია დაბრუნდება: **„კარგი იქნება, თუ რუსეთი ამ კომპრომისზე წავა და დათანხმდება, მისია აღდგეს ისე, რომ მისი მანდატი ვრცელდებოდეს მთელ საქართველოში, ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ასეთი მისიის აღდგენა ჩვენი დიდი ხნის ამოცანა იყო და ამაზე დიდხანს ვიმუშავეთ“.**

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** კი აცხადებს, რომ ეუთო-ს მისიის აღდგენა არანაირ შედეგს არ მოგვიტანს და როცა მისია ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა დარჩება, მხოლოდ კარგად დაფინანსებული ევროჩინოვნიკები იხეირებენ: **„ეუთო ჩვენთან თითქმის 20 წელი იყო და რა მოგვიტანა? თუნდაც აგვისტოს ომის წინ რა გააკეთეს. უბრალოდ, ვითარებას აცნობდნენ ცენტრალურ შტაბბინას. ორგანიზაციამ საკუთარი თავის დისკრედიტაცია უკვე მოახდინა. არ შეიძლება ერთი და იგივე მოლოდინის გაჩენა. ევროპას ამაზე დიდი თანხები აქვს გამოყოფილი და საჭიროა მისი ათვისება. ჩამოვა 15-20 ევროჩინოვნიკი ზღაპრული ხელფასებით, კომფორტულად იცხოვრებენ... აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თუ არ შეუშვეს, მათ აქ ყოფნას რა ფასი აქვს?“**

მაგრამ რა გზა აქვს ქვეყანას, რომლის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომა რომ არა, უარესი სურათი გვექნებოდა? სოსო ცინცაძე ამბობს, რომ ჩვენი საშველი მხოლოდ ჭკვიანურ საგარეო პოლიტიკაშია: **„რეალობა ისაა, რომ რუსეთი ნატო-სთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკას საფრთხედ განიხილავს. მასზე არ მოქმედებს ჩვენი ფიცი და მკერდში მუშტის კვრა, რომ ნატო-ში შევალთ და ეს მოსკოვს არაფერს ავნებს. არ სჯერათ ამის — ან ჩვენ ვერ დავაჯერეთ სათანადოდ, ან რუსეთისთვის ეს მართლა საფრთხეა... ვითარება, პირველ რიგში, საგარეო საქმეთა სამინისტრომ და უშიშროების საბჭომ, ასევე საუნივერსიტეტო და აკადემიურმა წრეებმა უნდა გააანალიზონ. წლების განმავლობაში, რუსეთის ხედვაში არაფერი შეცვლილა, რაც ნიშნავს, რომ მოსკოვი ყველანაირად შეეწინააღმდეგება ალიანსში ჩვენს შესვლას. ახლო მომავალში ნატო-ს სამიტია და ამ ფონზე, ორი განცხადება გაკეთდა: ჩვენმა მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა თქვა, რომ სამიტზე სერიოზულ გადაწყვეტილებას ველოდებით, სერგეი შოიგუმ კი აღნიშნა, რუსეთი ამას საფრთხედ აღიქვამსო. ამ რეალობის იგნორირება დაუშვებელია“.**

დასავლური მხარდაჭერისადმი ნიჰილისტური განწყობის მოძალების მიუხედავად, ჩრდილოელ მეზობელთან ერთი ერთზე დარჩენა კარგს არაფერს მოგვიტანს. მთავარი აქცენტი არა სიმბოლური წარმომადგენლობის აღდგენაზე, არამედ სამონიტორინგო ფუნქციების გაძლიერებაზე უნდა გაკეთდეს. იმედია, ეუთო, ოკუპირებულ ტერიტორიებზეც მოახერხებს შესვლას და მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით არ შემოიფარგლება.

ამაზე მეტ ინფორმაციას ვერ გამომძალავთ

მართავენ თუ არა ნინო ბურჯანაძესთან კონსულტაციებს ახლები და რა ინფორმაციას ანვდის „ვერსიას“ მამუკა კაციტაძე

ეროსუდან შელია
557-100-768

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ნინო ბურჯანაძის ირგვლივ არასაპარლამენტო პარტიების გაერთიანებაზე ალაპარაკდა. მან დაასახელა ძალები, რომლებიც სავარაუდოდ, მესამე პოლიტიკურ ცენტრს ჩამოაყალიბებენ: ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები და თავისუფალი საქართველო. რამდენად რეალურია განსხვავებული იდეოლოგიისა და წარსულში ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიების გაერთიანება? „ვერსიას“ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ესაუბრა:

— 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის განსაკუთრებით ვემზადებით. ამ ფონზე, არ გამოვრიცხავ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან შესაძლო, მაგრამ არა გარდაუვალ კოალიციურ გაერთიანებას. ამას მხოლოდ იდეის დონეზე განვიხილავ, კონკრეტული პოლიტიკოსის ირგვლივ ალიანსის შემოკრების პროცესში კი, ამ ეტაპზე, ახალი მემარჯვენეები არ ვმონაწილეობთ.

— თუმცა ჯონდი ბაღათურიამ ნინო ბურჯანაძესთან ალიანსში, ქრისტიან-დემოკრატებსა და კახა კუკავასთან ერთად მოგიაზრათ. ქართული დასის ლიდერი ინფორმაციას თქვენთან შეუთანხმებლად ავრცელებს?

— ჩანს, გარკვეული პარტიები ერთმანეთთან პარტნიორობის მაღალ ხარისხში არიან, ჩვენ კი ეს პროცესი არც დაგვიწყია. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე, პოლიტიკური დღის წესრიგში სხვა, ბევრად მნიშვნელოვანი საკითხები დგას. მათ შორის, თვითმმართველობის რეფორმა, საარჩევნო კოდექსი და საკონსტიტუციო კომისია, რომელიც, იმედია, ნოემბერში შეიკრიბება.

> **დიახ, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციებს ვმართავთ, მაგრამ ახალი მემარჯვენეები მათთან ძირითად ამ სამ საკითხზე ვსაუბრობთ. არასწორია, როცა ჩემს პარტიას ერთ-ერთი პოლიტიკოსი გაუგებარი ალიანსის ჩამონათვალში ასახელებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამაში ჩართულები არ ვართ. მსგავს ინფორმაციებს მედიის საშუალებით არ უნდა ვიგებდე.**

— ნინო ბურჯანაძესთან მემარჯვენეებს წარსულში, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო ურთიერთობა გქონდათ და მასთან გაერთიანებას მაინც არ გამორიცხავთ?

— დიახ, ჩვენი წარსული ურთიერთობები ბევრს ახსოვს. არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ზოგ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობა ჩვენთვის წარმოუდგენელია, თუმცა ახლა არაფერს დავაკონკრეტებ. ზოგადად, ქართული პოლიტიკა იმდენად ჭრელია, „ყველა ყველასთან“ პრინციპით ვერ იმოქმედებ. ამ თემაზე პარტიის შიგნითაც არ გვისაუბრია, ამიტომ ვერც ჯვარს გადავუსვამ ვინმეს და ვერც მწვანეს ავუნთებ. ამაზე მეტ ინფორმაციას ვერ გამომძალავთ.

— ის მაინც გაგვიმხილეთ, რა გახდა პარტიის კურსის ცვლილების მიზეზი? ბოლო წლებში მუდმივად აპელირებდით, რომ წარსულში ალიანსებში გაერთიანებამ თქვენი პოლიტიკური იმიჯი დააზარალა, რის გამოც პოლიტიკაში დამოუკიდებლად ბრძოლა ამჯობინეთ.

— ჩვენ სიტყვა შევასრულეთ და არასაპარლამენტო არჩევნებში სხვა პოლიტიკურ ძალასთან არ გავერთიანებულვართ. საკმაოდ მძიმე ბრძოლაში დამოუკიდებელი ძალებით გავედით. მაშინ შუა მართლაც გაიკრიფა, მაგრამ დროთა განმავლობაში, იმ პროცესებმაც ჩაიარა.

— „შუა გაკრეფილი“ დღეს არაა, როცა 10%-იანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ შეძლო, დანარჩენმა პარტიებმა კი 3%-საც ვერ მიაღწიეს?

— მალე პოლიტიკურ ასპარეზზე მოცემულობა შეიცვლება — ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან უკვე წასულია. მას მიხეილ სააკაშვილმა გაასწრო. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკაში ორპოლუსიანობის საფრთხე აღარ არსებობს. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ფორმალურად და არაფორმალურადაც წავა. აბსურდია საუბარი, რომ იგი პოლიტიკური პროცესების მართვას კულისებიდან შეეცდება და „რუხ კარიდანალად“ ჩამოყალიბდება... პირიქით, დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ პოლიტიკიდან მკვეთრ დისტანცირებას მოახდენს და არც ვინმეს დაურეკავს პოლიტიკური კონსულტაციების გასაწევად. მარტივი მიზეზების დასახელება შემიძლია: ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში ყოფნა არ მოსწონს, სხვა ტიპის თავისუფლებასაა შეჩვეული. არც ჭკუის დარიგება და რეკომენდაციების მოსმენა ეხალისება, რაც პოლიტიკას მუდმივად თან ახლავს. როცა ივანიშვილის მსგავსი გავლენის მქონე პირი პოლიტიკიდან მიდის, ეს პოლიტიკურ ასპარეზზე სერიოზულ ცვლილებებს ავტომატურად გამოიწვევს. გაჩნდება შანსი, ქვეყანაში ჭეშმარიტი მრავალპარტიულობა განვითარდეს, რაც დემოკრატიულობის მთავარი მანიშნებელია. არ ვამბობ, რომ ყველა პარტია თავის გადარჩენას შეძლებს. ბრძოლაში ბევრი დაეცემა, ზოგი ბარიერის გადალახვას მოახერხებს, მაგრამ მთავარია, ეს ხელოვნური ჩარევით არ მოხდება. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში 200 პარტიის არსებობაც უნდა დასრულდეს. ახლა მთავარია, პოლიტიკური არჩევანის მიმართულებით ბიზნესიც გათავისუფლდეს, რადგან პოლიტიკა ფულის გარეშე წარმოუდგენელია. ბევრი რამ შეიცვლება კოალიციაშიც. ისეთი ეკლექტური კონგლომერატი, როგორიც „ქართული ოცნებაა“, დაშლამდე ბუნებრივად მივა, რადგან მათ, ბიძინა ივანიშვილის სახით, მთავარი შემკვრელი ძალა, აღარ ეყოლებათ.

— ხელისუფლებაში დარჩენის სურვილი კოალიციის წევრებს გაერთიანების გადარჩენისკენ არ უბიძგებს?

— კოალიციაში სწორედ გავლენისთვის ბრძოლა დაიწყება. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება, თუ ეს პროცესი ადგილობრივ არჩევნებს არ დაემთხვევა და პარტიები ერთმანეთს საარჩევნო სიის ჩამოწერის დროს არ დაუპირისპირდებიან. თუ ეს დაძლიეს, ცოტა ხანს ერთად გასტანენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია აუცილებლად დაიშლება. პარტიებს შორის უკმაყოფილება თანდათან თოვლის გუნდასავით დაგროვდება და კრიტიკულ მომენტში ზვავად დაიძვრება. ბიძინა ივანიშვილმა როგორც უნდა მოინდომოს, სამოქალაქო სექტორიდან სახელმწიფო სისტემაში ვერაფერს შეცვლის.

— და ეს ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს მისცემს, როგორც თავადვე პროგნოზირებენ?

— უმჯობესი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა შიდაპრობლემებს მიხედავს, რომელსაც საგულდაგულოდ მალავენ. მაქვს ინფორმაცია, რომ ნაწილს ნაციონალური მოძრაობისგან მიხეილ სააკაშვილის მკაფიო დისტანცირება უნდა, რაზეც სააკაშვილი გიჟდება, ნაწილი კი ფულისთვის იბრძვის. მესმის, ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი აქვთ, მით უმეტეს, მათ ძალაუფლების ხიბლი უკვე გამოსცადეს, მაგრამ თავადაც კარგად ხვდებიან, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების ღირსნი არ არიან. ამას როგორც დავით ბაქრაძე, ისე პარტიის დანარჩენი ლიდერებიც აცნობიერებენ. ასე რომ, ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული დაპირისპირებაა.

— თქვენ ვინ გაწვდით ნაციონალური მოძრაობის შიდასამზარეულოზე ინფორმაციას?

— არსებობს ადამიანური ურთიერთობები... ნაწილი თავადაა დაინტერესებული, მსგავსმა ინფორმაციებმა გამოჟონოს. ნაციონალური მოძრაობა დასავლეთის განწყობითაც ხშირად მანიპულირებს, ამიტომ მთავარია, ხელისუფლებამ დასავლეთის მხრიდან არსებული კითხვები ეტაპობრივად ამოწუროს. მათ შორის, ყოფილ მაღალჩინოსნებთან მიმართებაში, რადგან ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს არ ესმით, რა საჭიროა პირის დაკავება მაშინ, როცა მას ბრალი დამტკიცებულიც კი არ აქვს. იმასაც ყველა აღნიშნავს, რომ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი სასაცილო გახდა.

— საუბარია მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დაკავებაზეც. ფიქრობთ, პრეზიდენტის დაპატიმრება დასავლეთს უფრო მეტ კითხვას გაუჩენს?

— თანამდებობა ინდულგენცია არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმეს კომპლექსური მიდგომა სჭირდება. მიუხედავად იმისა, ამ თემით ბევრი პარტია პოპულისტობს, პირადად მე მიმაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის დაკავება, მით უმეტეს იმ ფორმებით, რაც დანარჩენი ყოფილი მაღალჩინოსნების შემთხვევაში ვიხილეთ, უდიდესი შეცდომა იქნება. შესაძლოა, ამ ფაქტს ქვეყნის ინტერესებიც კი შეეწიროს. ევროპას თავის მოთხოვნები აქვს, რაც სულაც არ გულისხმობს ქვეყანაში შერჩევითი სამართლის დამკვიდრებას. პირიქით, პირს ბრალი უნდა დაუმტკიცო და შემდეგ დააკავო, რაც ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა.

მავთულხლართების გაბმის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დონორი ორგანიზაციები დაეხმარებიან

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოელი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ზალკალიანის თქმით, შეხვედრის მონაწილეებს რეინტეგრაციისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების მიერ მომზადებული პრეზენტაცია გადაეცათ, რომლის შესწავლის შემდეგ მათგან ადეკვატური რეაგირება იქნება.

ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზანშეუწონელია რესურსების დახარჯვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ინდივიდუალური საჭიროებები და ამიტომ სწორედ ასეთი ფორმატით, ქართულ მხარეს დონორების დახმარების იმედი აქვს: **„ბევრი მათგანისთვის ეს ინფორმაცია სიახლეს წარმოადგენდა. ისინი დაგვეხმარებიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა რამდენიმე ადამიანისთვის სახლის შეძენა, სახურავების გადახურვის პრობლემა და სხვა გადაუდებელი სამუშაოები. რაც შეეხება საჯარო ინფრასტრუქტურული საჭიროებების საკითხს, ამას სხვადასხვა უწყებები ნაბიჯ-ნაბიჯ ვაგვარებთ. მას შემდეგ, რაც დონორი ორგანიზაციები ჩამოყალიბდებიან, მათთან შეხვედრა კიდევ გვექნება“.**

„პირველი“

სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის

ცვლილებების შეტანის თაობაზე პარლამენტს უმრავლესობის წარმომადგენელმა ირაკლი სესიაშვილმა მიმართა. დეპუტატის განმარტებით, ცვლილების განხორციელების მიზეზია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფა. თუ პირი არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა მას გადაუვადდება სწავლის თითოეულ საფეხურზე.

კანონპროექტის მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფა ხდება. წარმოდგენილი კანონპროექტით, პირს, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის პირველი საფეხურის დასრულების წელს დარეგისტრირდა საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მონაწილეობის მისაღებად, სამხედრო სავალდებულო სამსახური გადაუვადდება გამოცდის შედეგების გამოცხადებამდე; პირს, რომელმაც დაასრულა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის მეორე საფეხური, სამხედრო სავალდებულო სამსახური გადაუვადდება იმავე წელს, ამ დაწესებულებების მიერ სწავლის მესამე საფეხურზე მიღების გამოცხადებამდე.

„პირველი“

ჰოროსკოპი
13 ნოემბერი

ვერძი — რთული არჩევანის წინაშე დგახართ, სასწორზე კარიერა და ბედნიერი პირადი ცხოვრება დევს, თუმცა როგორი არჩევანიც უნდა გააკეთოთ, შედეგით კმაყოფილი იქნებით.

კურო — გულთან ახლოს ნუ მიიტანთ ყველაფერს, რასაც დღეს გეტევიან, დიდია ალბათობა, რომ ეს სიტყვები შურითაა გამოწვეული. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით, მხოლოდ რჩევისთვის იმ ადამიანს მიაკითხეთ, ვისაც ენდობით.

ტყუპები — ნუ იტყვით უარს შეგობრების დახმარებაზე — მათი თანადგომა აუცილებლად დაგჭირდებათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. საღამოს სასიამოვნო შეხვედრა გელით, რაც მოგვიანებით, შეიძლება რომანტიკულ ურთიერთობებში გადაიზარდოს.

კირჩხიბი — ვარსკვლავები გირჩევენ, უურადღება მიაქციოთ ახლობელ ადამიანებს. შეეცადეთ, კრიტიკულ ვითარებაშიც შეინარჩუნოთ სიმშვიდე და დრო ოჯახურ გარემოში გაატაროთ.

ლომი — დღე ემოციური იქნება, თუ მოვლენებს კარგად გაანალიზებთ და საკუთარ ინტუიციას მიენდობით, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, ხოლო თუ ემოციებს აყვებით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ძალიან გაგიჭირდებათ.

ქალწული — არ თქვათ უარი შემოთავაზებულ წინადადებაზე. უბრალოდ, არ ღირს დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღება. ნუ იჩქარებთ, რადგან საკმარისი დრო გექნებათ, ვითარება თქვენს სასარგებლოდ შემოატრიალოთ.

სასწორი — საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. გირჩევთ, უველაფერი საკუთარ თავზე აიღოთ და დრო საქმიანი საკითხების მოგვარებასაც დაუთმოთ, რადგან კარიერული წინსვლისთვის კარგი პერიოდია.

ღრიანცელი — დღე არასახარბიელოა ცვლილებებისთვის. სჯობს, უველაფერი ისე დატოვოთ, როგორც არის — პირად ცხოვრებასა და სამსახურშიც. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა გელით, რომელიც შესაძლოა, სერიოზული და ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ შესაძლოა, თქვენს მიმართ კოლეგებისა და ხელმძღვანელობის დამოკიდებულება შეიცვალოს, რაც დაბრკოლებებს შეგიქმნით, თუმცა ეს უსიამოვნება დროებითია და მალე უველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

თხის რქა — დიდია გეგმების ჩაშლის ალბათობა, ამიტომ ეცადეთ, ვითარება მაქსიმალურად აკონტროლოთ და სხვების დახმარების იმედი ნაკლებად გქონდეთ. სადამოს კი, აჯობებს, განმარტოვდეთ და არსებული პრობლემებისგან განიტვირთოთ.

მერწყული — ვარსკვლავები გირჩევენ, ერთმანეთში არ აურიოთ სამსახური და პირადი ცხოვრება. ნუ მიანიჭებთ პრიორიტეტს უმნიშვნელო საქმეებს. კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრისთვის.

თევზები — თქვენი გეგმების განხორციელებას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, თუ თავადვე არ შექმნით რაიმე პრობლემას. პირველ რიგში, ჩამოაყალიბადით, მართლა გინდათ თუ არა გარკვეული შედეგების მიღება თუ უბრალოდ, ვიღაცის გავლენით მოქმედებთ.



გერმანელებმა მესამე სქესი დააკანონეს

მესამე სქესის ანუ ჰერმაფროდიტიზმის პრობლემას მეცნიერები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწავლობენ, გერმანიაში კი ახალი კანონი შემოიღეს, რომელიც საშუალებას იძლევა, ბავშვის სქესი დაბადებისთანავე არ განსაზღვრონ, თუკი ექიმები ჰერმაფროდიტიზმის ფაქტს დაადასტურებენ. აქამდე მშობლები ვალდებულნი იყვნენ, დაბადებიდან სამი კვირის განმავლობაში ბავშვის სახელი და სქესი დაერეგისტრირებინათ, რაც ხშირად საბედისწერო შეცდომის მიზეზი ხდებოდა, ახალი კანონის თანახმად კი, ასეთი ბავშვი რომ წამოიზრდება, თავად აირჩევს სქესს.

ახალი აბი ჯარბი წონის წინააღმდეგ

ბრიტანელმა მეცნიერებმა ლივერპულის უნივერსიტეტიდან ახალი პრეპარატი შექმნეს, რომელიც ადამიანს დაბალკალორიული საჭმლის მიღებისკენ უბიძგებს და ცხიმიან საკვებს, ტკბილეულსა და ფასტ-ფუდს შეაზიზღებს. გახდომის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, ახალი მედიკამენტი იმითაც გამოირჩევა, რომ მადას არ აქვეითებს, არც გვერდითი მოვლენები ახასიათებს და არც ძილიანობას იწვევს. პრეპარატი უგემურს ხდის ორგანიზმისთვის მავნე საკვებს, ხოლო მცენარეული სასარგებლო პროდუქტი ასეთ დროს ბევრად გემრიელი გეჩვენებათ. დიეტოლოგების აზრით, ახალი აბები ორგანიზმში ქოლესტერინსა და ნახშირწყლების დონეს აქვეითებს, სწავლულები კი იმედოვნებენ, რომ ახალი გასახდომი საშუალება, რომელიც ჯერ მხოლოდ ტესტირებას გადის, ევროპაში გავრცელებულ ეპიდემიურ სიმსუქნეს შეაჩერებს.

ჰოროსკოპი
14 ნოემბერი

ვერძი — დაწეებულ საქმეს ბოლომდე მიიეანთ და ორგანიზატორულ ნიჭსაც გამოავლენთ, თუმცა ეს განწეობას ვერ აგიმაღლებთ. დაფიქრდით — იქნებ დადგა დრო, რადიკალურად შეცვლოთ ცხოვრება და საკუთარი ბედი თავადვე გადაწევიტოთ.

კურო — დღე ახალი რომანტიკული გატაცებებით დაგამახსოვრებთ თავს. ფანტაზიებს აუვებით, რაც ფაქტების ობიექტურად შეფასებაში შეგიშლით ხელს. ვარსკვლავები გირჩევენ, გამოცდილ ადამიანებს ჰკითხოთ რჩევა.

ტყუპები — დღე ნაკლებად წარმატებულია. მიზნების მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. შეეცადეთ, თავი აარიდოთ დაუგეგმავ ხარჯებს და არც უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს მოაწეროთ ხელი.

კირჩხიბი — წარსულის გაანალიზებისა და შედეგების შეჯამების დროა. შექმნილი ვითარება თქვენგან სპონტანური გადაწეეტილებების მიღებას მოითხოვს. დიდია ვარსკვლავების პოზიტიური გავლენა რომანტიკულ ურთიერთობებზე.

ლომი — დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ სხვების შეხედულებას თქვენზე. რასაკვირველია, გარშემომყოფებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა მნიშვნელოვანია, მაგრამ აუცილებელია, საკუთარი სისუსტე დაძლიოთ და შინაგანი წინააღმდეგობა გადალახოთ.

ქალწული — ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად კრიტიკული იქნებით საკუთარი თავის მიმართ. მიუხედავად გარშემომყოფთა კეთილგანწყობისა, აღმოაჩენთ, რომ ისინი ნაკლებად გულწრფელები არიან.

სასწორი — საინტერესო შეხვედრები გელით. შესაძლოა რომანტიკული ურთიერთობების დაწეება, რაც უამრავ პოზიტიურ ემოციას მოგვგვრით და დიდ გამოცდილებას შეგძენთ. კარგი დღეა ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად.

ღრიანცელი — გიჭირთ სიმშვიდის შენარჩუნება, რადგან დღე დაკავშირებულია უამრავ ცდუნებასთან. შესაძლოა უთანხმოება ახლობელ ადამიანთან, თუმცა ჩხუბი ხანგრძლივი არ იქნება. ახალ ნაცნობებთან კი ფრთხილად იყავით, ისინი თქვენი ნდობის ბოროტად გამოყენებას შეეცდებიან.

მშვილდოსანი — ურთიერთობა, რომელიც წლების წინ გაუგებრობის გამო დასრულდა, დღეს აღდგება, რაც დიდ სიხარულს მოგგვრით. რაც შეეხება კარიერას, ნუ ეცდებით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას, სჯობს, შესაფერის წინადადებას დაელოდოთ.

თხის რქა — განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად იმოქმედებს თქვენს ცხოვრებაზე. სწრაფად იღებთ გადაწეეტილებებს და ხშირად რისკავთ, რაც მოცემულ ვითარებაში მხოლოდ დადებითად აისახება თქვენს ცხოვრებაზე.

მერწყული — ცდილობთ, მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოთ და ეს ადვილად გამოგდით. არც ისეთი ადამიანების პოვნა გაგიჭირდებათ, ვისაც ანდობთ რთულ საქმეებს, თუმცა აჯობებს, მოთოკოთ ამბიციები, რადგან ამან, შესაძლოა, პრობლემები შეგიქმნათ ურთიერთობებში.

თევზები — დღეს სასარგებლო ნაცნობობას გაბამთ, თუ გამბედაობას გამოიჩენთ, ისარგებლებთ კიდეც ამ გარემოებით. ბავშვებთან ურთიერთობა ოპტიმიზმით აგავსებთ და სიცოცხლის ხალისს დაგიბრუნებთ.

ღამით მუშაობა მავნებელია

ბრიტანელმა სწავლულებმა ღამის ცვლაში ქალბატონების მუშაობასა და შობადობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის კავშირი აღმოაჩინეს. საუთჰემპტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებში, არანორმირებული სამუშაო გრაფიკის გამო, რეპროდუქციული ფუნქციის კლების რისკი 80%-ით იზრდება. ჩატარებული კვლევებისას სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ქალების თითქმის 30%-ს, რომლებიც მხოლოდ ღამის ცვლაში მუშაობდნენ, უშვილობის რისკი მაღალი ჰქონდათ.

ვაშლის საყოველთაო ჯიში ეამოიყვანეს

ვაშლი საყოველთაოდ ცნობილია სასარგებლო თვისებებით, თუმცა ნაკლი მასაც აქვს — გარკვეული პერიოდის შემდეგ ჭკნება და კარგავს კვებით ღირებულებებს. სწავლულებმა „მწვანე კონტინენტიდან“ კი ეს პრობლემა მარტივად მოაგვარეს — ავსტრალიელი მეცნიერები მუშაობდნენ ვაშლის ახალ ჯიშზე, რომელსაც სასარგებლო თვისებები რამდენიმე თვის განმავლობაში შეუნარჩუნდებოდა და ოცწლიანმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — ახალ ჯიშს RS 103-130 უწოდეს და „მსოფლიოში საუკეთესო ვაშლად“ აღიარეს. ხილი წითელი ფერისაა, მაცივარში შენახვისას საუკეთესო თვისებებს ოთხი თვე ინარჩუნებს და ახლა ქვისლენდის შტატის ხელისუფლება კომერციულ პარტნიორს ეძებს, რათა გაისად გასაყიდად გაიტანოს. აღსანიშნავია, რომ ვაშლი გენური ინჟინერიის პროდუქტი არ გახლავთ და ტრადიციული მეთოდით გამოიყვანეს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, იხარებს თუ არა სხვა ქვეყნებშიც.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	5			3		7		
4							2	9
	2		9			5		
9			7				1	
			2	9	1			
	1				8			5
		8			5		4	
6	7							8
		4		8			9	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2		9		4	5			
	3	8	6		1			
	7	6				4		
3						8		
	9			3			5	
		7						9
		4				2	8	
			9		6	5	4	
			4	8		9		3

ᲠᲗᲣᲚᲘ

	8						2	
	1				9	6		5
		2	1			9		
			6		5			3
				3				
6			9		8			
		4			7	2		
2		9	5				4	
	5						3	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3								7
5					7			6
		7		4	3		2	
			8	7				2
	5						6	
8				9	5			
	9		3	2		6		
6			1					8
2								5

სად ცხოვრობენ „დაჩაგრული" დიასახლისები?

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (The Organisation for Economic Co-operation and Development) შეეცადა გაერკვია, ყველაზე მეტად რომელ ქვეყნებში ირღვევა გენდერული ბალანსი და კვირაში რამდენ საათს ხარჯავენ სუსტი სქესის წარმომადგენლები საოჯახო საქმეზე. კვლევა 28 ქვეყანაში ჩატარდა და გაირკვა, რომ ბავშვის მოვლისა და საოჯახო საქმეებში ჩართულობის თვალსაზრისით, მსოფლიოში გენდერული თანასწორობა აპენინებზე ირღვევა. იტალიელი ქალები საოჯახო საქმეებზე კვირაში, კაცებთან შედარებით, 21 საათით მეტს ხარჯავენ, იგივე დონეზეა ეს პრობლემა ამომავალი მზის ქვეყანაშიც — იაპონელი ქალები 21 საათით მეტად არიან დაკავებულები სახლის საქმეებით, ვიდრე მათი მეუღლეები. ინდოეთში ეს სხვაობა 18 საათს შეადგენს, ესპანეთში — 15-ს, თურქეთში — 14-ს, მექსიკაში — 13-ს, საფრანგეთში კი — 12,5.

მანათობელი ნაყინი შექმნეს

მსოფლიოში პირველი მანათობელი ცივი დესერტი დიდ ბრიტანეთში დაამზადეს, თუმცა ამ უჩვეულო ნაყინის დაგემოვნება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა — ტკბილეულის ერთი ბურთულა ავტორს, ჩარლი ფრანსისს 140 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ნაყინს მედუზას ცილა ანათებს და მას მომწვანო შეფერილობასაც სძენს, მანათობელი ნაყინის შექმნის იდეა კი ბრიტანელ მეწარმეს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მედუზების შესწავლა დაიწყო. ჯერჯერობით, მანათობელი ნაყინის მასობრივ წარმოებას არ უნდა ველოდეთ, რადგან სიძვირის გამო მწარმოებლები თავს იკავებენ.

უსახლკაროს საფლავში სძინავს

სან-პაულუს მკვიდრს, უსახლკარო მამაკაცს, ბოლო 13 წელია მეგობრის ცხედართან ერთად, საფლავში სძინავს. 47 წლის ფაბიო ბერალდო რიგოლომ სასაფლაოზე ცხოვრება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნარკოტიკების მოხმარების გამო, ჯერ სამსახური დაკარგა, მერე კი ოჯახმაც გააგდო სახლიდან. ბრაზილიელი გარდაცვლილი მეგობრის საფლავზე წავიდა და 6-ადგილიან აკლდამაში დასახლდა. ძალიან მინდა, სახლი მქონდეს. შანსი რომ მომცენ, სამსახურშიც დავბრუნდებოდი. ახლა კი რა უნდა ვთქვა, მკვდარი მკვდრებთან ვცხოვრობ. აქ სამარისებური სიჩუმეა, ვერავის ველაპარაკები და 13 წელია, ასე ვარ... გარდაცვლილებთან ძილი არ მაშინებს, სიცოცხლის მეშინია, — ამბობს უსახლკარო ბრაზილიელი.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	8	6	1	5	9	4	3	2
5	4	3	8	6	2	1	9	7
2	1	9	7	4	3	8	6	5
6	5	4	3	7	1	2	8	9
9	7	8	6	2	5	3	4	1
3	2	1	4	9	8	7	5	6
8	3	2	9	1	6	5	7	4
4	9	5	2	3	7	6	1	8
1	6	7	5	8	4	9	2	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	3	2	8	1	7	5	4	9
5	1	4	2	3	9	8	7	6
9	8	7	6	5	4	3	2	1
3	7	1	5	2	8	6	9	4
8	4	9	1	7	6	2	3	5
2	6	5	4	9	3	1	8	7
1	2	8	7	4	5	9	6	3
7	9	6	3	8	1	4	5	2
4	5	3	9	6	2	7	1	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	2	7	6	1	5	4	3	9
3	9	6	4	2	8	1	5	7
5	4	1	9	3	7	8	6	2
4	8	2	7	9	3	6	1	5
6	1	3	5	8	2	9	7	4
9	7	5	1	6	4	3	2	8
2	6	4	8	5	1	7	9	3
7	5	9	3	4	6	2	8	1
1	3	8	2	7	9	5	4	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	6	3	7	2	9	5	8	1
2	8	5	6	3	1	4	9	7
1	9	7	8	4	5	3	6	2
9	1	2	5	8	3	7	4	6
8	7	6	2	9	4	1	5	3
3	5	4	1	7	6	9	2	8
7	4	9	3	6	2	8	1	5
6	3	1	9	5	8	2	7	4
5	2	8	4	1	7	6	3	9

მე-9 გვერდი: 1. ბრიჯი; 2. რევერსი; 3. ჯეზვე; 4. კრონა; 5. რაფსოდია; 6. ნაია; 7. ავიზო; 8. ტენცო; 9. რეიკიავიკი; 10. სოლ; 11. ლოლობრიჯიდა; 12. ლიმფა; 13. ჭირიმია; 14. რეტრო; 15. ესე; 16. დოჟი; 17. ლია; 18. დინგი; 19. რიონი; 20. ნიასა; 21. აომინი; 22. აპათია; 23. მაორი; 24. ივრითი; 25. როდეო; 26. იაგო; 27. მათარა; 28. თეთრი სახლი; 29. პარტიტურა; 30. ვარდო; 31. იმპრესარიო; 32. ანოდი; 33. ალექსა; 34. ამბიცია; 35. სიტი; 36. ნაიკი; 37. ტერ; 38. აჯანი; 39. კაფკა; 40. მანილა; 41. კადრი; 42. ფერეიდანი; 43. ინი; 44. კეა; 45. ანათემა; 46. ედო; 47. ნეო; 48. გაბო; 49. სიუ; 50. პიტ; 51. ბარი; 52. გოგია; 53. „მილანი"; 54. რუდაქი; 55. იორიკი; 56. პრესლი; 57. „გიქორი"; 58. ხმა; 59. რაე; 60. ხმალა; 61. ორხაო; 62. ცვილი; 63. ქაბული; 64. ოე; 65. პაი; 66. ოსაკა; 67. ბრა; 68. მრევლი; 69. კილი; 70. ირანი; 71. ანი; 72. ვაიო; 73. რძე; 74. ურანი; 75. იაკი; 76. ბლითი; 77. ათას; 78. ბოა; 79. იო; 80. აბი; 81. ლეკალო.

მე-12 გვერდი: 1. კივი; 2. ნეტო; 3. ტახტი; 4. აჯა; 5. ალდონსა; 6. ლოველასი; 7. ოსტანკინო; 8. სირი; 9. მიქელანჯელო; 10. კილტი; 11. ნაუტილუსი; 12. იოგი; 13. „ავატარი"; 14. ვუალი; 15. ემუ; 16. ანტინოე; 17. სპრაიტი; 18. კაპადოკია; 19. ვიკონტი; 20. აიოვა; 21. მალა; 22. თოლია; 23. პინკ; 24. გუფთა; 25. ლენა; 26. კოლაუ; 27. კაა; 28. ფაუ; 29. ტიუსო; 30. ეკლესია; 31. კამიკაძე; 32. ეკლერი; 33. პაიკი; 34. ტუია; 35. ფაფარი; 36. ნივა; 37. ალაფი; 38. ლალი; 39. სამბა; 40. დონ; 41. ტაო; 42. ამალთეა; 43. ონო; 44. დაბა; 45. ეროს; 46. საუნა; 47. სასა; 48. დაკარი; 49. საფრა; 50. სერი; 51. ენკე; 52. აკორდეონი; 53. უკრაინა; 54. მარაო; 55. ნოე; 56. ორე; 57. ბოი; 58. ია; 59. პიზა; 60. მიზანა; 61. ბორი; 62. უძო; 63. „პასატი"; 64. „ფატიმა"; 65. დუ; 66. ორდერი.

1. ტბა დუშეთის რაიონში
2. ივივე იალქანი
3. კანის დაავადება
4. სურნელოვანი ნივთიერება
5. ჩანთა ნანადირევისათვის
6. მტაცებელი ცხოველი
7. წესიერი თორმეტწახნაგა სხეული
8. ფუჭი, უშედეგო
9. ღმერთთა საკვები ბერძნულ მითოლოგ.
10. არწივის ხმაური, ყივილი
11. სიმაღლის საზომი ხელსაწყო
12. ბიჩერ-სტოუს „ბიძია“
13. ლადო ასათიანის სოფელი
14. ინგლისელი ფილოსოფოსი
15. უმცირესი ოთხნიშნა რიცხვი
16. ინგლისური სქელი ლუდი
17. პირისახის ძვალი
18. ქოლგოსანთა ოჯახის ბალახი
19. მატყლის ქსოვილი
20. „სავარცხლიანი“ ფრინველი
21. „თეთრი ოქრო“
22. ბერძნული ანბანის I ასო
23. პიგმალიონის სატრფო
24. ერთგვარი რბილი ტყავი
25. გარგარის ჯიში
26. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
27. ჟურბან საიდის რომანი „... და ნინო“
28. იგივეა, რაც აკუშერი
29. „ჭრელი“ მთები აზიაში
30. მარიფათი, მოხერხება
31. რეპის „მამა“
32. იტალიის ვალუტა ევროამდე
33. მისამართი ინტერნეტში
34. პარფიუმერული ფირმა „ესტე ...“
35. ორი ძვლის შეერთება ხრტილით
36. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
37. სხვადასხვა ფერის, ფერადი
38. ქალაქი ინგლისში
39. იაროსლავ ჰაშეკის „ყორაღი ჯარისკაცი“
40. სემიტური ენა, რომელზეც იესო მეტყველებდა
41. ალალბედზე მოქმედება
42. „ხელის ჭუჭყი“
43. მარტოხელა ბიჭი
44. მეფის საჭურისი „სიბრძნესაცრუისაში“
45. უეცარი შიში
46. იტალიის საფეხბურთო კლუბი
47. სასტუმროს მსახური ბიჭი
48. ფოლადის ბაგირი
49. საძაგელი რამის დანახვით გამოწვეული განცდა
50. სოფელი მესტიის რაიონში
51. განგსტერი ... კაპონე
52. აფხაზი მწერალი ... ისკანდერი
53. ზიდანის მეტსახელი
54. პოეზიის ჟანრი
55. კარგი ამინდი
56. წითელი ფერის სამეფო მოსასხამი
57. ტირიფის სახეობა
58. უმაღლესი ხარისხის მინა
59. ქრისტეს მიერ გაცოცხ. ადამიანი
60. ფანდი, ხრიკი
61. ინდოეთ-დედაქალ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდიმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.